

წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური (WaSH) მდგომარეობის შეფასება კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში



საბოლოო ანგარიში

მომზადებულია

სიმონ გაბრიჭიძის მიერ

აგვისტო, 2018

მადლიერება

ანგარიშის ავტორს სურს, მადლიერება გამოხატოს ყველა იმ პიროვნების თუ ორგანიზაციის მიმართ, რომლებმაც სხვადასხვა ფორმით წვლილი შეიტანეს შეფასების განხორციელებასა და ანგარიშის მომზადებაში. მადლობას ვუხდით ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს, ნინო ტლაშაძეს, ორგანიზაციულ საკითხებში კახეთის რეგიონის სამიზნე ლოკაციებში ხშირი მეგზურობისა და WaSH-ის შეფასების პროცესში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის CENN-ისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონულ კოორდინატორებს, მარიკო წიქორიძესა და მარიამ პაპოშვილს, შესანიშნავი მეგზურობისა და საველე ვიზიტების პროფესიულად დაგეგმვისათვის. დასასრულს, მინდა, უღრმესი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო CENN-ის პროექტის მენეჯერის, მელანო ტყაბლაძის, მიმართ შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

შინაარსი

შეფასების მიზანი	8
სამიზნე ლოკაციები, გაწეული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები	8
შეფასების მეთოდოლოგია და დიზაინი	9
შეფასების შეზღუდვები	10
წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები	11
სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები	12
ზოგადი მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში	13
სასმელი წყლის ხარისხი და სანიტარია საბავშვო ბაღებში	16
სასმელი წყლის ხარისხი და სანიტარია ამბულატორიებში	19
შეფასების ძირითადი მიგნებები	20
ახმეტის მუნიციპალიტეტი	20
საჯარო სკოლები	21
დუმასტურის საჯარო სკოლა	21
მატანის N1 საჯარო სკოლა	22
ოჟიოს საჯარო სკოლა	24
აწყურის საჯარო სკოლა	25
ქისტაურის საჯარო სკოლა	26
ქვემო ალვანის საჯარო სკოლა	27
ხორხელის საჯარო სკოლა	29
ამბულატორიები	29
სოფელ მატანის ამბულატორია	29
სოფელ ომალოს ამბულატორია	30
სოფელ მადრაანის ამბულატორია	32
ზემო ალვანის ამბულატორია	33
ქვემო ალვანის ამბულატორია	35
ხოდაშნის ამბულატორია	36
საბავშვო ბაღები	37
სოფელ მატანის N1 საბავშვო ბაღი	37
სოფელ მადრაანის საბავშვო ბაღი	37

სოფელ ომალოს საბავშვო ბაღი.....	38
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი.....	39
საჯარო სკოლები	39
ბაისუბნის საჯარო სკოლა.....	39
გვიმრიანის საჯარო სკოლა.....	40
გიორგეთის საჯარო სკოლა.....	42
ლელიანის საჯარო სკოლა	43
ყარაჯალის საჯარო სკოლა	44
აფენის N2 საჯარო სკოლა.....	46
ჰერეთისკარის საჯარო სკოლა.....	47
საბავშვო ბაღები	48
თელას საბავშვო ბაღი	48
კაბლის საბავშვო ბაღი.....	49
ამბულატორიები.....	50
ფონას ამბულატორია	50
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.....	51
საჯარო სკოლები.....	52
გიორგიწმინდის საჯარო სკოლა	52
ქვემო ყანდაურის საჯარო სკოლა	53
იორმულანლოს საჯარო სკოლა	55
მანავის საჯარო სკოლა.....	58
მულანლოს საჯარო სკოლა	59
ნინოწმინდის საჯარო სკოლა	61
პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა.....	62
ამბულატორიები.....	64
ბადიაურის ამბულატორია	64
ქვემო ყანდაურის ამბულატორია	65
ნინოწმინდის ამბულატორია.....	66
დიდი ჩაილურის ამბულატორია.....	68
ხაშმის ამბულატორია	69

საბავშვო ბაღები	71
სოფელ კაკაბეთის N2 საბავშვო ბაღი.....	71
სოფელ პატარძელის N1 საბავშვო ბაღი	72
დმანისის მუნიციპალიტეტი	73
სკოლები	73
განთიადის საჯარო სკოლა	73
დმანისის N1 საჯარო სკოლა.....	75
იფნარის საჯარო სკოლა	76
პანტიანის საჯარო სკოლა	76
საფარლოს საჯარო სკოლა	77
კიზილქილისას საჯარო სკოლა	79
საბავშვო ბაღები	81
სოფელ მაშავერის საბავშვო ბაღი.....	81
სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღი	81
ამბულატორიები.....	82
სოფელ ამამლოს ამბულატორია	82
სოფელ ირგანჩაის ამბულატორია.....	83
დიდი დმანისის ამბულატორია.....	84
ყარაბულახის ამბულატორია	85
ქვემო ოროზმანის ამბულატორია.....	86
კოლექტიური საცხოვრებელი	87
დმანისის კოლექტიური საცხოვრებელი.....	87
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	92
სკოლები	93
ბოგვის საჯარო სკოლა	93
ენაგეთის საჯარო სკოლა	94
ჯვარას საჯარო სკოლა.....	95
საბავშვო ბაღები	96
სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღი	96
სოფელ ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღი	96

ამბულატორიები.....	97
სოფელ ასურეთის ამბულატორია	97
სოფელ ჯორჯიაშვილის ამბულატორია	98
სოფელ საღრაშენის ამბულატორია	99
სოფელ ჭივჭავის ამბულატორია.....	100
მარნეულის მუნიციპალიტეტი	101
ყულარის საჯარო სკოლა.....	101
სოფელ კირიხლოს საჯარო სკოლა	104
სოფელ ყიზილაჯლოს N2 საჯარო სკოლა.....	105
მარნეულის N4 საჯარო სკოლა.....	107
წალკის მუნიციპალიტეტი.....	109
სკოლები	110
კაბურის საჯარო სკოლა	110
ხარების საჯარო სკოლა	112
ნარდევანის საჯარო სკოლა	113
ოზნის საჯარო სკოლა.....	115
არსარვანის საჯარო სკოლა	115
ახალშენის საჯარო სკოლა.....	117
თეჯისის საჯარო სკოლა	118
საბეჭისის საჯარო სკოლა.....	119
იმერის საჯარო სკოლა.....	121
აშკალის საჯარო სკოლა.....	124
ამბულატორიები.....	126
სოფელ არსარვანის ამბულატორია	126
სოფელ აშკალის ამბულატორია.....	127
სოფელ ახალშენის ამბულატორია.....	128
სოფელ ბარეთის ამბულატორია	129
სოფელ ხაჩკოვის ამბულატორია.....	130
სოფელ დარაკოვის ამბულატორია.....	131
სოფელ ოზნის ამბულატორია	131

შეფასებული ობიექტების ერთმანეთთან შედარება და მომავალი ინტერვენციების დაგეგმვა 132

ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები:..... 140

დანართები 147

შეფასების მიზანი

შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენდა წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური (WASH) მდგომარეობის შეფასება კახეთისა (მუნიციპალიტეტები: ახმეტა, ლაგოდეხი და საგარეჯო) და ქვემო ქართლის (მუნიციპალიტეტები: დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა) რეგიონების 7 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სოფლის ამბულატორიებსა და მოწყვლადი მოსახლეობის კოლექტიურ დასახლებებში. შეფასება ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ ფარგლებში, რომელსაც CENN ახორციელებს ორ ორგანიზაციასთან ერთად, ესენი არიან „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ და „ქალი და სამყარო“.

სამიზნე ლოკაციები, გაწეული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები

შეფასების სამიზნე ლოკაციებს წარმოადგენდნენ კახეთის სამი (ახმეტა, ლაგოდეხი და საგარეჯო) და ქვემო ქართლის ოთხი მუნიციპალიტეტის (დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა) საჯარო სკოლები, საბავშვო ბაღები, სოფლის ამბულატორიები და კოლექტიური საცხოვრებლები. წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად სამიზნე ობიექტების შერჩევა განხორციელდა წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. კრიტერიუმები ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად საკითხებს: შესაფასებელი თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ობიექტებში WaSH-ის საკითხების პრიორიტეტულობა, ბენეფიციარების (მაგ., მოსწავლეების) რაოდენობა და მათი დამოკიდებულება WaSH-ის საკითხებთან, საკითხის მიმართ ინტერესი და პრიორიტეტულობა, მუნიციპალიტეტის მზადყოფნა თანამშრომლობაზე და ა.შ. (დეტალური კრიტერიუმები იხილეთ დანართ 1-ში). სამიზნე მუნიციპალიტეტებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად და ანგარიშის მოსამზადებლად გაწერილ იქნა 5 (ხუთი) კალენდარული თვე, რომლებიც გადანაწილდა კონკრეტულ საქმიანობებზე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

	სამუშაოს დასახელება	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე
1	ტექნიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და კითხვარების მომზადება					
2	ტექნიკური შეფასება კახეთის რეგიონში					
3	ტექნიკური შეფასება ქვემო ქართლის რეგიონში					
4	ანგარიშის მომზადება					

ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება დაიწყო 2018 წლის 26 მარტს და დასრულდა 2018 წლის 26 აგვისტოს.

შეფასების მეთოდოლოგია და დიზაინი

საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სოფლის სამედიცინო პუნქტებსა და მოწყვლადი მოსახლეობით (ეკომიგრანტებით, სოციალურად დაუცველი პირებით) დასახლებულ კოლექტიურ ცენტრში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ მონაცემებმა ხუთი ძირითადი საკითხის ირგვლივ მოიყარა თავი.

კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ და, ნაწილობრივ, თვისობრივ კომპონენტებს. კერძოდ, კვლევის ჩასატარებლად სკოლებში გამოყენებულ იქნა გაერო–ს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გლობალური შეფასებისა და მონიტორინგის (WASH) მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას: ა) სკოლის დირექტორებთან/ადმინისტრატორებთან პირისპირ ინტერვიუს, ბ) ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვებას. შერჩევის ნიშნებს წარმოადგენს: რეგიონი, დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი), ეთნიკურობა - სწავლების ენა (ქართული/არაქართული) და მოსწავლის შესაძლებლობები.

ამგვარად, კითხვარი შემუშავდა WASH-ის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე და მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: წყალი, სანიტარია, ჰიგიენა, ნარჩენები, ოპერირება.

წყალი: წყალმომარაგების წყაროები და წყლის უვნებლობა, წყლის ოდენობა, წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

სანიტარია: ტუალეტის (ჯიხურების) რაოდენობა და მდებარეობა, განაწილება და ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში და ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

ჰიგიენა: ხელსაბანი ნიჟარების ოდენობა და განაწილება; საპონი/ტუალეტის ქაღალდის ხელმისაწვდომობა; ჰიგიენის სწავლების პრაქტიკა სკოლაში.

ნარჩენები: მყარი ნარჩენების გატანა; ჩამდინარე წყლის გადინება.

ოპერირება: წყალმომარაგების ობიექტების გამართულობა; სანიტარიული ობიექტების გამართულობა და სისუფთავე.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით განსხვავებების იდენტიფიცირება სკოლის ადგილმდებარეობის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და რეგიონული თავისებურებების მიხედვით. აქცენტი გაკეთდა აგრეთვე წყლისა და სანიტარიული საშუალებების ხელმისაწვდომობაზე ეთნიკური უმცირესობების ბავშვებთან მიმართებაში. ცალკე პუნქტებად იქნა შეფასებული დაწყებითი

კლასის მოსწავლეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვების ხელმისაწვდომობის საკითხები.

საბავშვო ბაღებში შეფასებისას დამატებით იქნა გათვალისწინებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის №01-172/ო ბრძანებით შემუშავებული გაიდლაინი: „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღებში“.

მოწყვლადი მოსახლეობით დასახლებულ კოლექტიურ ცენტრებში წყლისა და სანიტარიული პირობების შეფასების მიზნით დამატებით გამოყენებულ იქნა Mercy Corps მიერ მოწოდებული სპეციალური სახელმძღვანელო (Mercy Corps – WASH Guidelines). შემფასებლის მიერ წინასწარ განხორციელდა სახელმძღვანელოში მითითებული კითხვარის ადაპტირება და ადგილობრივ რეალობაზე მორგება. თუმცა ამ შემთხვევაშიც ძირითადი თემები იგივე დარჩა: **წყალი, სანიტარია, ჰიგიენა, ნარჩენები და ოპერირება**. ანალოგიური მეთოდით განხორციელდა სოფლის სამედიცინო ამბულატორიების შეფასება.

კვლევის შედეგების დამუშავების მიზნით განხორციელდა სტრუქტურული კითხვარების სათანადო კოდირება. ცალკე ჩატარდა მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა თუ ხელმძღვანელ პირებთან ჩატარებული შეხვედრების ანალიზი. მონაცემების დამუშავების შედეგად მომზადდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები კვლევის ლოკაციებში შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად.

შეფასების შეზღუდვები

WaSH-ის შეფასების პროცესს თან ახლდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომლებმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მიღებულ მიგნებებზე:

1. სამიზნე ობიექტების დიდი რაოდენობისა და ლიმიტირებული დროის გამო ყველა ობიექტზე ვერ მოხერხდა მეთოდოლოგიის ზუსტი დაცვა (თავდაპირველად ობიექტზე დაკვირვება და შემდეგ გასაუბრება მენეჯმენტთან).
2. შეფასების განხორციელება დროის გარკვეულ ეტაპზე დაემთხვა სასკოლო არდადეგების პერიოდს. ამიტომ რიგ შემთხვევებში ძნელი იყო WaSH-ის მიმართულებით რეალური სურათის ზუსტად დადგენა როგორც მენეჯმენტის, ასევე მოსწავლეთა ქცევის/ცნობიერების თვალსაზრისით. მაგალითად, დირექცია ხშირად აცხადებდა, რომ საპირფარეო ყველა ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი და ბავშვებიც ხელს იბანდნენ კრიტიკულ მომენტებში (მაგ., ტუალეტით სარგებლობის შემდეგ, ჭამის წინ). თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ ფაქტების პრაქტიკული შემოწმება შეუძლებელი იყო.
3. წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაცია ძირითადად მოპოვებულ იქნა შეფასებული ობიექტების მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მხოლოდ ობიექტების მცირე ნაწილმა წარმოადგინა წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები. შეფასების პროცესში დამატებით არ მომხდარა წყლის სინჯების აღება და

მათი ლაბორატორიულად გადამოწმება. ამგვარად, ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია წყლის ხარისხის შესახებ, ძირითადად, მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და ანგარიშის ავტორის მიერ წყლის ორგანოლექტიკური თვისებების (ფერი, სუნი, გემო) სუბიექტურ შეფასებას ეფუძნება.

შეფასების პროცესში აღმოჩნდა ისიც, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ფაქტობრივად არ არსებობდა მოწყვლადი მოსახლეობით (ეკომიგრანტებით, სოციალურად დაუცველი პირებით) დასახლებული კოლექტიური საცხოვრებლები: განხორციელდა მხოლოდ ერთი შეფასება – დმანისში მდებარე „ეკომიგრანტთა“ კოლექტიური ცენტრისა.

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სკოლის შენობები წყალ-საკანალიზაციო სისტემების მიხედვით იყოფა ორ პირობით კატეგორიად: „ა“ და „ბ“ კატეგორიებად. „ა“ კატეგორიის მიეკუთვნება ყველა ის სკოლა, რომელიც მდებარეობს ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დიდ სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც ფუნქციონირებს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა. „ბ“ კატეგორიად მიიჩნევა ყველა ის სკოლა, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან რაიონში, პატარა სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც არ არსებობს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა.

„ბ“ კატეგორიის სკოლები იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფი - სკოლის შენობები, სადაც სტანდარტების მოთხოვნით შესაძლებელია შიდა სანიტარიული კვანძის მოწყობა.

II ჯგუფი - სკოლები, სადაც შიდა სანიტარიული კვანძის მოწყობა არსებული გეგმარებით მოუხერხებელია.

ჩვენ მიერ შეფასებული ორივე სკოლა მიეკუთვნება „ბ“ კატეგორიის II ჯგუფს. აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ყველა „ბ“ კატეგორიის სკოლა მარაგდებოდეს სასმელი და ხელის დასაბანი წყლით. სასმელად გამოყენებული წყალი კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასმელად ვარგისიანობაზე. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმელად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს წყაროს ან არტეზიული ჭიდან მოპოვებული წყალი. ასეთის არქონის შემთხვევაში უნდა მოხდეს სასმელი წყლის მომარაგება და სათანადო შენახვა ჰიგიენური პირობების დაცვით.

არტეზიული ჭა უნდა იყოს ტექნოლოგიურად დაცული გარედან რაიმე სახის დაბინძურებისგან. შესაბამისი სამსახურების მიერ პერიოდულად უნდა მოხდეს წყლის შემოწმება სასმელად ვარგისიანობაზე (განსაკუთრებით, წყალდიდობებისა და ბუნების სხვა

სტიქიური მოვლენების შემდეგ). ხოლო სანიტარიული კვანძის მომსახურებისათვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სამარაგე ავზში შეგროვილი ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასმელად და ხელის დასაბანად.

სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები

სასმელად უვარგისი წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი. გრძელვადიანი მიკრობული რისკი დაკავშირებულია მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის რეგულარულ და ხანგრძლივ მოხმარებასთან, ხოლო ეპიდემიური რისკი - ძალიან ვირულენტური მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის მოხმარებასთან.

სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N 349/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სასმელი წყლის ხარისხის შემდეგი მაჩვენებლები და მათი ნორმატიული სიდიდეები:

- ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.
- მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები.
- ქიმიური მაჩვენებლები (ზოგადი მაჩვენებლები, არაორგანული და ორგანული ნივთიერებები).
- რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლები.
- წყლის დამუშავების პროცესის შედეგად წარმოქმნილი მავნე ქიმიური ნივთიერებების ნორმატივები.

რეგლამენტით განსაზღვრულია მოთხოვნები სასმელი წყლის უსაფრთხოებისათვის:

- სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი და ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანოლეპტიკური თვისებები.
- სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარიულ ნორმებს.
- სასმელ წყალში არ დაიშვება შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი წყლის ორგანიზმებისა და ზედაპირული აპკის არსებობა.

- სასმელი წყლის ეპიდემიური უსაფრთხოება განისაზღვრება მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების რეგლამენტით დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობით.

ზოგადი მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში

- სკოლას უნდა ჰქონდეს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემა.
- სკოლის წყალმომარაგების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის (ხელის დაბანა, საკვების მომზადება, ტუალეტების ჩარეცხვა, სათავსების დასუფთავება).
- სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N349/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.
- სკოლისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N349/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.
- წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის ან წყლის შეფერხებებით მოწოდების შემთხვევაში სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წყლის რეზერვუარი (ავზი).
- წყლის რეზერვუარი საკმარისი მოცულობის თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია.
- წყლის რეზერვუარების დამუშავების პერიოდულობის კონტროლის მიზნით აუცილებელია ჩატარებული სამუშაოების სათანადო აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.
- წყლის ავზების დამუშავება ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს, ხოლო სასმელი წყლის რეზერვუარში წყლის ცვლა უნდა ხდებოდეს ყოველ 48 საათში.
- წყლის რეზერვუარის დეზინფექციის ჩასატარებლად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალება.
- სასმელი წყლის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ჭა, რაც ასევე საჭიროებს განთავსების, მოვლისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვას. კერძოდ:

- ა) ჭა უნდა განთავსდეს არანაკლებ 30 მეტრის დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროსგან (მაგალითად, გარე სანიტარიული კვანძისაგან);
- ბ) დაუშვებელია პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100 მეტრის რადიუსში;
- გ) ჭა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად;
- დ) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს ღობე ცხოველებისაგან დასაცავად;
- ე) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
- ვ) წყლის ამოსაღები ჭურჭელი სუფთად უნდა ინახებოდეს;
- ზ) ჭა თავდახურული უნდა იყოს.
- სკოლას უნდა ჰქონდეს სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
 - სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა დასაშვებია, როგორც წყლის დისპენსერების ან წყლის შადრევნების, აგრეთვე წყლის კონტეინერების გამოყენებით. ამასთან:
 - ა) წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას უნდა გაირეცხოს;
 - ბ) წყლის კონტეინერს მჭიდრო თავსახური უნდა ჰქონდეს;
 - გ) წყლის კონტეინერი უნდა იდგეს მაგიდაზე ან თაროზე და არა იატაკზე.
 - წყლის დისპენსერები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთჯერადი გამოყენების ჭიქებით, ხოლო წყლის დისპენსერის სინქრონულ რეჟიმში მომუშავე ავზი უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გამორეცხვასა და დეზინფექციას.
 - სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ადმინისტრაციის მიერ უნდა ხორციელდებოდეს იმ სასმელი წყლის გაუვნებელოება, რომელიც დაუცველი წყაროდან მოეწოდება.
 - სასმელი წყლის გაუვნებელოება სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებისა და წესების გამოყენებით.
 - ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და საკმარისი სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასკოლო ბიუჯეტით.

ზოგადი მოთხოვნები სკოლაში სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისადმი

სკოლაში არსებული ტუალეტი უნდა იყოს: სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. რადგან ჩვენი შეფასება ეხება „ბ“ კატეგორიის II ჯგუფის სკოლებს, ქვემოთ მოყვანილია მათ მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები:

- „ბ“ კატეგორიის სკოლების II ჯგუფისათვის გარე სანიტარიული კვანძი უნდა მოეწყოს სექტიკური ავზის თავზე ან ცალკე შენობაში, რომელიც მილგაყვანილობით იქნება დაკავშირებული სექტიკურ ავზთან.
- გარე სანიტარიული კვანძი სკოლის შენობიდან, სათამაშო და დასასვენებელი მოედნიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 მეტრით. ხოლო ტუალეტის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან უნდა შეადგენდეს 30-50მ-ს.
- გარე სანიტარიულ კვანძს აუცილებელად უნდა ჰქონდეს:
 - ა) საასენიზაციო სექტიკი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით;
 - ბ) მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადით აღჭურვილი სავენტილაციო მილი;
 - გ) ბუნებრივი და ხელოვნური განათება;
 - დ) ხელსაბანი;
 - ე) ტუალეტთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი;
 - ვ) სკოლის ტუალეტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრივატულობა და დაცულობა.
- იმ სკოლებში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი წყლის მიწოდება, უნდა დამონტაჟდეს სამარაგო ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით.
- სოფლად და იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არის წყალ-საკანალიზაციო გაყვანილობა, ეზოს ტუალეტები სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს მოწყობილი.
- ტუალეტების დასუფთავება და ტექნიკური გამართულობის შემოწმება რუტინულად უნდა ხორციელდებოდეს სკოლაში, რათა მუდმივად იქნეს უზრუნველყოფილი სუფთა და მოფუნქციონირე ტუალეტების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის.
- სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ უნდა იქნეს ტუალეტების დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა.

- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის უნდა გამოიყენებოდეს სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ.
- სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში თავდაპირველი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.
- სკოლის წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარიული კვანძების დასუფთავების, საპნითა და ხელის გამშრალების საშუალებით უზრუნველყოფის ხარჯები.

ზოგადი მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი

- სკოლის ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს, ხოლო ნაგავი მოგროვდეს და ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავმემკრებ კონტეინერებში, რომელებიც სკოლის შენობიდან 25-30 მეტრის მოშორებით უნდა იყოს განთავსებული.
- სკოლაში ყოველდღიურად უნდა ხორციელდებოდეს მყარი ნარჩენების შეგროვება საკლასო ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხო გატანა სკოლის შენობიდან.
- ნაგვის კონტეინერების დაცლა მათი 3/4-ით გავსებისთანავე უნდა ხდებოდეს, რომ არ გადაივსოს.
- ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს კონტეინერების გატანა სკოლის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში. კონტეინერები უნდა გაირეცხოს ყოველთვიურად და ჩაუტარდეს დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით).
- სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახმარი წყლების მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ.
- სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, უნდა ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია).

სასმელი წყლის ხარისხი და სანიტარია საბავშვო ბაღებში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულია საბავშვო ბაღებში წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის გაიდლაინი 2016 წლის 28 ივლისის №01-172/ო ბრძანებით. გაიდლაინის მიხედვით, განსაზღვრულია წყლის ხარისხი და უსაფრთხოება, რაოდენობა, სანიტარიული კვანძების მოწყობის საკითხი და ჰიგიენის ხელშეწყობა.

წყლის ხარისხი და უსაფრთხოება

სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პერსონალური ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის წყლისათვის დადგენილ სტანდარტებს.

ინდიკატორები:

1. სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური ხარისხი;
 - Escherichia coli და თერმოტოლერანტული კოლფორმული ბაქტერიები არ იქნა აღმოჩენილი არცერთ 1000 მლ-იან სინჯში.
2. სასმელი წყლის გაუვნებელოება;
 - მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება იმ სასმელი წყლის გაუვნებელოება, რომელიც დაუცველი წყაროდან მოეწოდება.
3. სასმელი წყლის ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა;
 - სასმელი წყალი აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს.
4. სასმელი წყლის კეთილსაიმედოობა /ორგანოლეპტიკური თვისებები;
 - სასმელი წყლის სუნი, ფერი და გემო აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს უარის თქმის საფუძველი მის მოხმარებაზე.
5. სხვა დანიშნულების წყალი;
 - წყალი, რომელიც თავისი ხარისხით ჩამორჩება სასმელი წყლის ხარისხს, თუმცა აკმაყოფილებს უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს, გამოიყენება მხოლოდ დასუფთავების, რეცხვისა და ტუალეტების ჩასარეცხად.

წყლის რაოდენობა

უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის.

წყლის საჭიროებათა საბაზისო რაოდენობებია:

- სასმელი ხარისხის წყალი - საბავშვო ბავ (დღის სწავლებით) 5 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით (ყველა ბავშვი და საბავშვო ბავის სრული პერსონალი).

- წყლის დამატებითი რაოდენობა/არასასმელი ხარისხის წყალი ჩასარეცხი ტუალეტებისათვის, რომელიც მიერთებულია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემას, 10 - 20 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით.
- ჩასარეცხი ტუალეტებისათვის, რომელიც თავად მომხმარებლის მიერ (არაავტომატურად) უნდა ჩაირეცხოს, 1.5-3 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით.

წყლის ხელმისაწვდომობა და წყალმომარაგების ტექნიკური საშუალებები: საბავშვო ბაღში საკმარისი რაოდენობითაა სასმელი წყლის წერტილები და წყალმომარაგების სხვა საშუალებები, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას სასმელი წყლისადმი, პერსონალური ჰიგიენისადმი, საკვების მომზადების, დასუფთავებისა და რეცხვისადმი.

ინდიკატორები:

1. სათანადოდ აღჭურვილი წყალმომარაგების წერტილები, საპონი და ხელის გასამშრალეელი საშუალებები ხელმისაწვდომია საბავშვო ბაღის ყველა კრიტიკულ წერტილში, კონკრეტულად კი – ტუალეტებსა და სამზარეულოში.
2. სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომია ბავშვებისა და საბავშვო ბაღის პერსონალისათვის, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
3. უზრუნველყოფილია არანაკლებ ერთი საშხაპე 20 მომხმარებელზე (ბავშვები და საბავშვო ბაღის პერსონალი მუდმივ შტატში) გადაანგარიშებით. ცალკე საშხაპეები ან განსაზღვრული დროითი გრაფიკი გამოიყენება ბავშვებისა და საბავშვო ბაღის პერსონალისათვის. არანაკლებ ერთი საშხაპისა განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ჰიგიენის ხელშეწყობა

წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარება, გამოყენება და მოვლა-პატრონობა უზრუნველყოფს მყარი ჰიგიენური ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას.

ინდიკატორები:

1. საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. დადებითი ჰიგიენური ჩვევები, მათ შორის, სისტემური აგიტაცია საბავშვო ბაღის პერსონალსა და ბავშვებს შორის წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარებას, გამოყენებასა და მათი მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.
3. წყლისა და სანიტარიის საშუალებები და მათ მოვლა-პატრონობაზე გამოყოფილი რესურსები საშუალებას აძლევს საბავშვო ბაღის პერსონალსა და ბავშვებს, გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად მარტივი და მოხერხებული გზით.

ტუალეტები

სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა და საზოგადოების

კულტურული განვითარების დონისათვის შესაფერისი ტუალეტებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ბავშვებისა და საბავშვო ბაღის პერსონალისათვის.

ინდიკატორები:

1. სათანადოდ აღჭურვილი ტუალეტები მოწყობილია შემდეგი რაოდენობით - ერთი ტუალეტის ჯიხური ყოველ 10 ბავშვზე და არანაკლებ ერთი ტუალეტისა ბაღის პერსონალისათვის.
2. ტუალეტები მოხერხებულია კონსტრუქციული და დაშორების თვალსაზრისით (არაუმეტეს 30 მ-ისა ტუალეტამდე), მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
3. ტუალეტებში უზრუნველყოფილია პრივატულობა და დაცულობა.
4. ტუალეტების დიზაინი და კონსტრუქციული გადაწყვეტა შეესაბამება საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონეს, ასაკობრივ და გენდერულ თავისებურებებს, მოსახერხებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.
5. ტუალეტები ჰიგიენურია მოხმარებისათვის და ადვილი – დასასუფთავებლად.
6. ტუალეტებთან ახლოს მოწყობილია მოხერხებული ხელსაბანები.
7. ტუალეტების დასუფთავება და ტექნიკური გამართულობის შემოწმება რუტინულად ხორციელდება და მუდმივად უზრუნველყოფილია სუფთა და მოფუნქციონირე ტუალეტების ხელმისაწვდომობა.

სასმელი წყლის ხარისხი და სანიტარია ამბულატორიებში

პირველადი ჯანდაცვისათვის აუცილებელი WaSH-ის სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს მისი ფუნქციონირების თავისებურებებსა და პაციენტების საჭიროებებს. სასწავლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, პირველადი ჯანდაცვის ობიექტების (ამბულატორიების) შემთხვევაში წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის მიმართ არსებული სტანდარტები არ არის სათანადოდ გაწერილი და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზია. აუცილებელია, ჯანდაცვის სამინისტროს დონეზე განისაზღვროს პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების მინიმალური მოთხოვნები WaSH-ის სტანდარტების მიმართ.

ამბულატორიულ დაწესებულებებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მნიშვნელოვანია ნოზოკომიური ინფექციების კონტროლის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2015 წლის 7 სექტემბრის N 01-38/5 ბრძანებით დამტკიცებული „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციის და კონტროლის წესები“, რომლის მე-11 მუხლში მოცემულია მოთხოვნები სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ, რაც გათვალისწინებულ იქნა ჩვენი შეფასების პროცესში. კერძოდ:

1. სამედიცინო დაწესებულებაში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს ნარჩენების კლასიფიკაციის, მახასიათებლებისა და

შემადგენლობის მიხედვით, ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაზიანება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უსაფრთხო ინიექციების პრაქტიკა.

2. სამედიცინო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეგრეგაცია, შეგროვება, შენახვა, გატანა, უტილიზაცია ან/და განადგურება.

აქვე აღნიშნულია, რომ სამედიცინო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და გარემო ობიექტების სტერილიზაცია და დეზინფექცია.

შეფასების ძირითადი მიგნებები

ახმეტის მუნიციპალიტეტი

ზოგადად, კახეთის რეგიონის შესაბამისი მუნიციპალური (მათ შორის – ახმეტის) სამსახურებიდან (საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საბავშვო ბაღების გაერთიანება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) მიღებული ინფორმაცია ნაკლებინფორმაციული იყო. მიღებული პასუხების საფუძველზე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო შესაფასებელი ობიექტების წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით რანჟირება და მათი პრიორიტიზირება. ამიტომ შეფასებაში სკოლების, ბაღებისა და ამბულატორიების მაქსიმალური რაოდენობა იქნა ჩართული. პროექტის გუნდი შეეცადა, სხვა წყაროებით ან უშუალოდ შესაფასებელი ობიექტებისაგან მიეღო ინფორმაცია იქ წყლისა და სანიტარიის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ახმეტის რაიონში შეფასებულ იქნა 6 საჯარო სკოლა, 4 საბავშვო ბაღი და 6 ამბულატორია (დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართში 8).

ამავე დროს, გარკვეულ ობიექტებზე წინასწარ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია ან განხორციელდა ვიზიტი, თუმცა შემდეგ არ ჩატარებულა დეტალური შეფასება WaSH-ის მხრივ არსებული შედარებით კეთილსაიმედო მდგომარეობის გამო. ამ ობიექტებს ახმეტის რაიონში მიეკუთვნება 4 საჯარო სკოლა და 8 საბავშვო ბაღი (დანართი 8). სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა განთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში, ამიტომ ამ შემთხვევაშიც შეფასება არ ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულია იმ ობიექტების ძირითადი მონაცემები, რომლებშიც დეტალური შეფასება განხორციელდა.

საჯარო სკოლები

დუმასტურის საჯარო სკოლა

სოფელ დუმასტურში არსებული სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას (მის შემადგენლობაში ასევე შედის შუა ხალაწის დაწყებითი სკოლა). შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 57 მოსწავლე (26 ვაჟი და 31 გოგონა), რომელთა შორის 1 იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 23–ს (20 ქალი და 3 მამაკაცი). სკოლაში არსებობს დისციპლინური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამეურვეო საბჭო. სკოლის განვითარების გეგმა ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს.

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც ყოველდღიურად ხელმისაწვდომი და საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის (სასმელად, სანიტარიული მიზნებისათვის). 2012 წელს სკოლა გარემონტდა USAID-ის დაფინანსებით. ამ დროს გაკეთდა წყალგაყვანილობა და დაიწყო წყლის შემოწმება. მაგრამ მას შემდეგ წყალი ვარგისიანობაზე აღარ შემოწმებულა. ჭაბურღილიდან წყალი იკრიბება სკოლის შენობის სხვენზე განთავსებულ რეზერვუარში. რეზერვუარში წყლის ქიმიურად დამუშავება (დაქლორვა) არასოდეს მომხდარა. წყალს არც სხვა ხერხით ამუშავებენ მოხმარებამდე და პირდაპირ სვამენ ონკანიდან. ბავშვებს არ მოაქვთ ბოთლებით წყალი სახლებიდან. პრობლემას ქმნის ის, რომ წყლის რეზერვუარი საჭიროებს პერიოდულ დასუფთავებას, თუმცა, მისი ფორმიდან გამომდინარე, ძნელია მისი რეგულარული და სათანადო დამუშავება. ამიტომ სკოლაში არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია წყლის ხარისხზე და ამჯობინებენ სასმელი წყლის სოფლიდან მილით შემოყვანას (თუნდაც ეზოში). აღსანიშნავია, რომ მილი გადის სკოლის ეზოსთან ახლოს და მისი შემოყვანა სერიოზულ დანახარჯებს არ უკავშირდება.

სანიტარიული კვანძები მდებარეობს შენობის შიგნით, ჩასარეცხი ტიპის ტუალეტის 3-3 ერთეული გოგონებისა და ვაჟებისათვის. ცალკეა ტუალეტი მასწავლებლებისათვის. ყოველ განყოფილებაში დამატებით თითო ერთეული შშმ პირებისათვის არის ადაპტირებული. სანიტარიული კვანძების ყოველ ერთეულს აქვს დამოუკიდებელი ხელსაბანი და ყველა გამოყოფილია კარით, რომელიც შიგნიდან იკეტება. ვიზიტის დღეს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული სანიტარია-ჰიგიენის კუთხით იყო კარგ მდგომარეობაში. ხელსაბანებთან იყო საპონი და ქაღალდი. შენობაში განთავსებულია 6 ხელსაბანი. საპირფარეშოებს პერიოდულად ქიმიურადაც ამუშავებენ. დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან დამლაგებლები.

სკოლაში არსებობს ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა, წელიწადში ერთხელ მოწმდებიან მოსწავლეები და ენიშნებათ შესაბამისი მკურნალობა. დამრიგებლის „კლასის საათების“ ფარგლებში ისწავლება ჰიგიენა.

ასევე ორგანიზებულად ხდება მყარი ნარჩენების გატანა. კერძოდ, ნარჩენი გააქვთ ყოველდღიურად ცენტრალურ გზაზე არსებულ ურნებში. ურნების დაცლა რეგულარულად ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები არ იყო გადავსებული. სკოლის დირექცია წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ უწყებად თავად სკოლას მიიჩნევს, თუმცა, თუ დაზიანება სერიოზულია და დიდ დანახარჯების უკავშირდება, მაშინ მიაჩნიათ, რომ პრობლემის მოგვარებაში მათ განათლების სამინისტრო უნდა დაეხმაროს.

მატანის N1 საჯარო სკოლა

სოფელ მატანის N1 საჯარო სკოლაში შეფასების მომენტში ირიცხებოდა 337 მოსწავლე (168 ვაჟი და 169 გოგონა), რომელთა შორის 12 იყო სპეციალური საჭიროებების მქონე (სსმ -11 ვაჟი და 1 გოგონა). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 30-ს (28 ქალი და 2 მამაკაცი). სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წარმომადგენელთან მოხდა გასაუბრება. თვითმმართველობა მუშაობს მოსწავლეებისათვის აქტუალურ თემებზე, თუმცა სანიტარია-ჰიგიენის მიმართულებით რაიმე კონკრეტული საქმიანობა არ აქვს განხორციელებული.

სკოლის ეზოში წყლის მილით შედის წყალი, რომელიც მიეწოდება სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. დირექციის ინფორმაციით, წყლის ხარისხი არაა დამაკმაყოფილებელია, რომელიც კიდევ უფრო უარესდება უხვი ნალექის მოვლის შემთხვევაში. ლაბორატორიული შემოწმების გარეშე, ორგანოლექტიკური დათვალიერებითაც კარგად ჩანს, რომ წყალი არ არის სასმელად უსაფრთხო. მოსწავლეთა ნაწილი მაინც სვამს წყალს ალტერნატივის არარსებობის გამო, ნაწილს კი სახლიდან მოაქვს, ან ყიდულობს ბოთლის წყალს.



სკოლის ეზოში მდებარეობს „ორმოს“ ტიპის საერთო სარგებლობის 2 ტუალეტის ჯიხური (სულ 8 ერთეული, დიფერენცირებული არ არის ცალ-ცალკე გოგონების, ვაჟებისა და პედაგოგებისათვის). აქედან ერთი ჯიხური, საერთოდ, არ გამოიყენება, ვინაიდან საძირკველი დაწეულია და საფრთხეს წარმოადგენს (კედელზეც არსებობს წარწერა: „შესდექ, სახიფათოა“). ის ტუალეტიც, რომელიც ფუნქციონირებს, მოძველებულია და ამორტიზებული, ვიზიტის დღეს დაფიქსირდა ანტისანიტარიული ვითარება. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ

ტუალეტების ადაპტირებაზე შშმ ბავშვებზე არავის უფიქრია. ტუალეტებთან ასევე არ არსებობს ხელსაბანი.



ხელის დაბანის შესაძლებლობა მოსწავლეებს აქვთ დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით – ხოლო საპონი დევს სკოლის შენობის ერთ-ერთი ოთახის ფანჯრის რაფაზე. დიდი მანძილის გამო მოსწავლეები ფაქტობრივად ვერ/არ იბანენ ხელებს და საპონსაც უმეტეს შემთხვევებში არ იყენებენ. სკოლის ბიუჯეტში არის პუნქტი, რომლის ფარგლებშიც სკოლა იძენს ჰიგიენურ საშუალებებს. სკოლას აქვს შიდა კვების ობიექტი, სადაც წყალი შეყვანილია, თუმცა ადგილზე საკვების მომზადება არ ხდება.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენის საკითხები, თუმცა – რა ფორმით, არ დაუკონკრეტებიათ. პედაგოგებს არ აქვთ გავლილი სპეციალური ტრენინგი ჰიგიენის საკითხებზე და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები აქვთ ამ თემაზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად და გროვდება სანაგვე ურნაში, რომელიც სკოლის ეზოს შესასვლელთან ახლოს დგას. ურნის დაცლა და გატანა ასევე რეგულარულად ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ. ვიზიტის დროს სანიტარიული ობიექტები ნაწილობრივ იყო გადავსებული. სკოლაში აგრეთვე ნაწილობრივ ფუნქციონირებს დამდგარი (და/ან ნახმარი) წყლების სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ეზოს ტერიტორიის ნაწილი იტბორება (ონკანის გარშემო).

სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ წყლის სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და დაზიანების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალური სამსახური. ამჟამად სისტემა ნაწილობრივ გამართულად მუშაობს, მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის ხარისხის საკითხი. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას, დირექციის აზრით, თავად სკოლა არის პასუხისმგებელი მის გამართულ ფუნქციონირებაზე. გასაკვირია, მაგრამ დირექცია მიიჩნევს, რომ სანიტარიული სისტემა სკოლაში გამართულია და დაზიანებების აღმოფხვრაც დროულად ხდება. შექმნილ ვითარებაში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს თავად სკოლის ხელმძღვანელობის ცნობიერების ამაღლება WaSH-ის საკითხებზე.

ოჯიოს საჯარო სკოლა

სოფელ ოჯიოს სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 110 მოსწავლე (45 გოგონა და 65 ვაჟი), მათ შორის ერთია შშმ (ბიჭი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 34-ს (3 მამაკაცი და 31 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, არც მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა რაიმე საზოგადოებრივი გაერთიანება/ ორგანიზაცია. დირექტორის განცხადებით, ყოველწლიურად ხდება 1-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებულია წყლისა და სანიტარიის საკითხები.

სკოლას მიეწოდება ჭაბურღილის წყალი მილით (იგივე წყალი, რითაც სოფელი მარაგდება). თუმცა სოფელში არსებობს წყლის სერიოზული დეფიციტი და წყალი ხელმისაწვდომია მხოლოდ 4 დღეში ერთხელ (საშუალოდ – 1-2 დღე კვირაში). დირექციის განცხადებით, ჭაბურღილის წყალს იყენებენ ხელის დასაბანად და ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელი წყალი კი მოსწავლეებს თავად მოაქვთ ბოთლებით. დამატებით, სკოლის ადმინისტრაციას მეზობელი სოფლიდან პერიოდულად წყლის ჭურჭლით/ბიდონებით მოაქვს სასმელი წყალი.

სკოლის ეზოში დგას „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური (2-2 ერთეული – გოგონებისა და ვაჟებისათვის და 1 – პედაგოგებისათვის). ნაგებობა ძველი გარემონტებულია, თუმცა იმყოფება სუფთა მდგომარეობაში. ტუალეტთან არის საპნით ხელის დაბანის შესაძლებლობაც. დასუფთავებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.



სკოლას არ ჰყავს ექიმი. ნაწლავის ჭიებზე შემოწმება 1 წლის წინ მოხდა, მიმდინარე სასწავლო წელს კი ეს პროცესი აღარ განხორციელებულა. კლასის დამრიგებელი „კლასის საათების“ ფარგლებში მოსწავლეებს ესაუბრება ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. თუმცა არ აქვთ ჰიგიენის თემაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც რომელიმე პედაგოგს გაუვლია სპეციალური მომზადება ამ საკითხებში.

ნარჩენების გატანა ხდება ყოველდღიურად ეზოს გარეთ არსებულ ურნებთან, საიდანაც შემდეგ გააქვს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა – ამ მხრივ პრობლემები ვიზიტის მომენტში არ დაფიქსირებულა.

დირექციას თავად სკოლა მიაჩნია პასუხისმგებლად წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. მთავარ პრობლემას წარმოადგენს სოფელში სასმელად ვარგისი წყლის მწვავე დეფიციტი. დირექტორის განცხადებით, ჭაბურღილის წყალი ხშირად შეფერილია და სასმელად ოჯახებშიც არ იყენებენ. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარება სკოლას (ან თუნდაც მხოლოდ ერთ რომელიმე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტს) დამოუკიდებლად არ შეუძლია.

აწყურის საჯარო სკოლა

სოფელ აწყურის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 166 მოსწავლე (95 გოგონა და 71 ვაჟი), მათ შორის სამი სპეციალური საჭიროებების მქონეა (1 გოგონა და 2 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 25–ს (3 მამაკაცი და 22 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო კლუბი „მომავლის თაობა“, რომელიც აქტიურად მუშაობს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, მათ შორის –სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე (რაც, ზოგადად, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს შეფასებულ სკოლებში). სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახორციელებს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ და ყოველწლიურ გეგმებს. აღნიშნული გეგმები მოიცავს წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებულ საკითხებსაც (მაგალითად, წყლის ხარისხის კონტროლს, სანიტარიული მასალების შესყიდვას), რაც შესაბამისად აისახება სკოლის ბიუჯეტშიც.

სკოლის ეზოში ხელმისაწვდომია საერთო სარგებლობის წყლის ონკანი. წყალი უმეტეს შემთხვევებში უწყვეტად მოედინება, თუმცა ზოგჯერ წყდება (საშუალოდ 1 დღე კვირაში). წყლის ქიმიურ დამუშავებას არ ახდენენ, რადგან შემოწმებული და ლაბორატორიულად დადასტურებულია მისი უსაფრთხოება. წყალი ხელმისაწვდომია სსმ და დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის. სკოლას აქვს აგრეთვე წყლის ავზი, რომელიც გამოიყენება სანიტარიული კვანძების დასასუფთავებლად და ჩასარეცხად, თუმცა არასწორი მონტაჟის გამო ზამთარში შესაძლოა, გაიყინოს ავზიდან საპირფარეშოს შენობაში შემავალი მილი.

სკოლაში არის 2 სანიტარიული კვანძი, რომელთაგან ერთი ახლად აშენებულია (დაახლოებით 3 წლის წინ), მეორე, ძველი, ამორტიზებულია და სანიტარიული კუთხით მძიმე მდგომარეობაშია. მთლიანობაში ხელმისაწვდომია ტუალეტების 5 ერთეული: 2 გოგონებისათვის, 2 ვაჟებისათვის და 1 პედაგოგებისათვის. სკოლის დირექციის განცხადებით, დაწყებითი კლასის მოსწავლეები ახალ საპირფარეშოს ვერ იყენებენ და ისევ ძველით სარგებლობენ. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ხელსაბანი. ხელსაბანი შორსაა ძველი საპირფარეშოსგან, რის გამოც მცირე ასაკის მოსწავლეებს არ აქვთ ხელის დაბანის შესაძლებლობა. შეფასების მომენტში ხელის დაბანის ყველა ერთეულში არ იყო საპონი.

სასწავლო პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება ჰიგიენა, თუმცა თემატური საგნების (მაგ., ბიოლოგიის) მასწავლებლები პერიოდულად ესაუბრებიან მოსწავლეებს ამ საკითხებზე. თავად მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა დაწერეს პროექტი ჰიგიენის თემაზე,

სახელწოდებით „ყოველი დღე - ჰიგიენის დღე“, რომელშიც გაცხადებული იყო მოსწავლეთა მიზანი – საპირფარეშოში მექანიკური ხელსაშრობებისა და სასაპნების დაყენება (თუმცა პროექტი არ დაფინანსდა). თვითმმართველობის წევრები ასევე ატარებენ სხვადასხვა აქტივობას (მაგ., ასუფთავებენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიას და ა.შ.). მიუხედავად ინტერესისა, სკოლაში არ აქვთ სანიტარია-ჰიგიენის შესახებ რაიმე სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა და არც რომელიმე პედაგოგს გაუვლია სპეციალური გადამზადება ამ საკითხებში.

სკოლიდან ნაგვის შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად. სკოლის შენობასა და ეზოში ხელმისაწვდომია სანაგვე ურნები, რომლებიდანაც შეკრებილი ნაგავი გააქვთ დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე კონტეინერში (დგას სკოლის შესასვლელთან ახლოს). ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.

სკოლის დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია პასუხისმგებლად სკოლაში წყლის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. თუმცა სისტემა ნაწილობრივ არის გამართული - ზამთრის ცივ პერიოდში ზოგჯერ წყალი იყინება. ამ პერიოდში სკოლას ნორმალური ფუნქციონირების სერიოზული პრობლემა უდგას, რადგან წყლის ალტერნატიული წყარო არ გააჩნია. სანიტარიული სისტემის გამართულობაზე სკოლა თავად იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა ამ მხრივაც გარკვეული ხარვეზები არსებობს (მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა).

ქისტაურის საჯარო სკოლა

სოფელ ქისტაურში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. სკოლაში არის 317 მოსწავლე (155 გოგონა და 262 ვაჟი), მათ შორის 5 სპეციალური საჭიროებების მქონეა (2 გოგონა და 3 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 34–ს (2 მამაკაცი და 32 ქალი). დირექციის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მუშაობს ჰიგიენის საკითხებზეც. თუმცა მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მასალა არ წარმოუდგენიათ. სკოლაში ხდება აგრეთვე განვითარების სტრატეგიული და ყოველწლიური გეგმების შემუშავება, რომლებიც მოიცავენ წყლისა და სანიტარიის საკითხებს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც მუდმივად საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ. წყლის ხარისხი მოწმდება ლაბორატორიულად და დადასტურებულია მისი უსაფრთხოება. შესაბამისად, წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. სასმელი წყლის შადრევანი განთავსებულია სკოლის ეზოში, რომელიც ხელმისაწვდომია სსმ და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის. თუმცა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ნაწილს მაინც სახლებიდან მოაქვს ბოთლებით წყალი.

სკოლის ეზოში განთავსებულია „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური, სულ 10 ერთეულით: 4 ერთეული – გოგონებისათვის, 4 ერთეული – ბიჭებისათვის და 2-იც – მასწავლებლებისათვის.

შეფასების დღეს ტუალეტი იყო ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში. ტუალეტთან არსებობს 2 ხელსაბანი, რომელთაგან ერთი დაზიანებულია (ვაჟების მხარეს) და არ ფუნქციონირებს. ხელის დაბანის კიდევ ერთი ერთეული მდებარეობს სკოლის ტერიტორიაზე (თუმცა ტუალეტებიდან მოშორებით). გოგონების ხელსაბანთან იყო საპონი. დირექციის განცხადებით, ვაჟები უდიერად ეპყრობიან თხევად საპონს, რის გამოც ხშირად რჩებიან საპნის გარეშე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, სკოლაში დაიგეგმოს და განხორციელდეს ვაჟებს შორის ცნობიერების ამაღლების ეფექტიანი კამპანია.

სკოლაში არ ჰყავთ ექიმი და არც ბუფეტი აქვთ. ნაწლავის ჭიებზე შემოწმება 1 წლის წინ მოხდა და მოსწავლეებს დაენიშნათ სათანადო მკურნალობა. კლასის დამრიგებელი „კლასის საათების“ ფარგლებში მოსწავლეებს ესაუბრება ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებზე. თუმცა სკოლაში არ აქვთ ჰიგიენის თემაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც რომელიმე პედაგოგს გაუვლია სპეციალური მომზადება ამ საკითხებში.

ნარჩენების გატანა ხდება ყოველდღიურად ეზოს გარეთ არსებულ ურნებთან, საიდანაც შემდეგ გააქვს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს (კვირაში ერთხელ). შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. ფუნქციონირებს სადრენაჟე სისტემა - ამ მხრივ პრობლემები ვიზიტის მომენტში არ დაფიქსირდა.

დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია პასუხისმგებლად წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. მისი გადმოცემით, სისტემა გამართულად ფუნქციონირებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ფიქსირდება. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე კი სკოლა თავად იღებს პირველად პასუხისმგებლობას. რეალურად, სანიტარიული სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რაშიც სკოლას, გარკვეულწილად, გარე დახმარებაც ესაჭიროება. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია პერსონალის ცნობიერების ამაღლება WaSH-ის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ყოველდღიური ოპერირების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ქვემო ალვანის საჯარო სკოლა

სოფელ ქვემო ალვანის სკოლა წარმოადგენს სრულ საჯარო სკოლას. სკოლაში არის 393 მოსწავლე (180 გოგონა და 213 ვაჟი), მათ შორის 11 სპეციალური საჭიროებების მქონეა (3 გოგონა და 8 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 38-ს (2 მამაკაცი და 36 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ეკოკლუბი და სამოქალაქო კლუბი. სკოლის დირექცია ყოველწლიურად ახორციელებს თვითშეფასებას, რომლის საფუძველზეც ადგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ და ყოველწლიურ გეგმებს.

სკოლის ეზოში წყლის მილით შემოდის წყალი, რომელიც მუდმივად საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ. წყლის ხარისხი მოწმდება ლაბორატორიულად და დადასტურებულია მისი უსაფრთხოება. შესაბამისად, წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ისე სკოლის სხვა საჭიროებებისათვის.

სკოლაში არსებობს 2 სანიტარიული კვანძი, რომელთაგან ერთი ახლად აშენებულია. ძველი ტუალეტი ამორტიზებულია და ვიზიტის დღეს ანტისანიტარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მთლიანობაში ხელმისაწვდომია ტუალეტების 8 ერთეული გოგონებისათვის (4 ახალი და 4 ძველი), 8 – ვაჟებისათვის (4 ახალი და 4 ძველი). პედაგოგებისათვის ცალკე ტუალეტებია (3 ერთეული). დამატებით, ვაჟების ტუალეტებში არის პისუარები. სკოლაში ფუნქციონირებს 12 ხელსაბანი. ვიზიტის დღეს ხელსაბანების მხოლოდ ნაწილთან იყო საპონი.



დირექციის განცხადებით, დაწყებითი კლასებისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლები პერიოდულად ესაუბრებიან მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. თუმცა ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არასახარბიელოა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ახლად რეაბილიტირებული ტუალეტები, მოსწავლეების ნაწილი მაინც ძველი, ანტისანიტარიულ ვითარებაში მყოფი, ტუალეტებით სარგებლობს (თუმცა ასეთი ქცევის ზუსტ მიზეზებს ვერ ასახელებენ). სკოლაში არ გააჩნიათ ჰიგიენის საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების საქმეში (ისე, როგორც ჰიგიენის საკითხებში სათანადოდ მომზადებული პედაგოგები).

სკოლაში ნაგვის შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად. ვიზიტის მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. გამართულია სადრენაჟო სისტემა და ნახმარი წყალი არხით გაედინება სკოლის ტერიტორიიდან. სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.

სკოლის დირექციას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური მიაჩნია პასუხისმგებლად სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. მიაჩნიათ, რომ ამჟამად სისტემა გამართულად მუშაობს და ამ მხრივ პრობლემები არ აქვთ. სანიტარიული სისტემის გამართულობაზე სკოლა თავად იღებს პასუხისმგებლობას და თუ საქმე სკოლის ტერიტორიის

შიგნით სისტემის მოწესრიგებას ეხება, საკუთარი ძალებითაც ახერხებენ პრობლემების მოგვარებას.

ხორხელის საჯარო სკოლა

სოფელ ხორხელში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს მხოლოდ 11 მოსწავლე. სკოლა დაფინანსებას ღებულობს ვაუჩერული სისტემით, რომლის მიხედვითაც, 180 მოსწავლემდე ყველა სკოლა თანაბარ დაფინანსებას ღებულობს. აქედან გამომდინარე, სკოლა შედარებით ადვილად ახერხებს დანაზოგების მეშვეობით სხვადასხვა პრობლემის დამოუკიდებლად მოგვარებას (მათ შორის – WaSH-ის საკითხებზე). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, თუ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად სხვა სკოლები შეირჩევა, ხორხელის სკოლაში კი შესაძლებელია, გატარდეს სანიტარია-ჰიგიენის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები (პერსონალის ტრენინგები, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მიწოდება და ა.შ).

ამბულატორიები

სოფელ მატანის ამბულატორია

სოფელ მატანში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 3 ექიმი და 3 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. სამედიცინო პერსონალი ყოველ სამუშაო დღეს ემსახურება სამიზნე მოსახლეობას. მთლიანობაში ამბულატორია ემსახურება სოფლის 4500-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი თვიურად 500-550 კაცს შეადგენს. ექიმები აღნიშნავენ, რომ, ზოგადად, კუჭ-ნაწლავის პრობლემებით პაციენტები ხშირად არ აკითხავენ, თუმცა ნაწლავის ჭიები ბავშვებში მასობრივად არის გავრცელებული.

ამბულატორია განთავსებულია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობის მეორე სართულზე. ის შედგება 5 ოთახისაგან, საერთო ფართობი დაახლოებით 80 კვ.მ-ია. შენობა არ არის შშმ პირებზე ადაპტირებული. ბოლოს გარემონტდა 2004 წელს და ამჟამად იმყოფება ამორტიზებულ მდგომარეობაში. შენობის ნაწილში ჭერი ჩამონგრეულია, იატაკი ჩავარდნილია, ექიმის გადმოცემით, შენობის ნაწილები თანდათანობით ცვივა, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს იქ მყოფი პერსონალისა და პაციენტებისათვის. ამგვარ პირობებში ამბულატორიის ფუნქციონირების გაგრძელება ყოველად დაუშვებელია.

ასევე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებს და ეხება ამბულატორიის პერსონალის ანაზღაურებას. ეს პრობლემა ყველა სოფლის ამბულატორიაში მომუშავე პერსონალს ეხება (შესაბამისად, ამ პრობლემაზე ყველა სხვა ამბულატორიის დეტალური შეფასებისას აღარ აღვნიშნავთ). საქმე ის გახლავთ, რომ ამბულატორიის ექიმის შემოსავალი შეადგენს 520, ხოლო ექთანის – 364 ლარს (დაბეგვრის შემდეგ). თუმცა ეს თანხები არ წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის ხელფასებს. მათში სოციალური მომსახურების სააგენტოს (უწყება, რომელიც ხელშეკრულებას უფორმებს ამბულატორიის პერსონალს) მიერ

გათვალისწინებულია ყველა ის ხარჯი, რაც შეიძლება ამბულატორიას დასჭირდეს - დასუფთავების, შენობის გათბობის, ელექტროენერჯის, პირველადი დახმარების მედიკამენტების, დაზიანების აღმოფხვრის და ა.შ. რაც ფაქტობრივად ფორმალურს ხდის სოფლებში პირველადი ჯანდაცვის არსებობას და განაპირობებს მის დაბალ ეფექტიანობას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ემატება წყლისა და სანიტარიის მხრივ ამბულატორიაში არსებული მძიმე ვითარება. წყალი თვით ექიმების ძალისხმევით მიყვანილია ეზომდე. ექიმების ოთახებს არ მიეწოდება წყალი და იქ კუსტარული ხელსაბანები აქვთ მოწყობილი. ეზოში მდებარე ტუალეტის ჯიხური ამორტიზებულია და მძიმე სანიტარიულ მდგომარეობაშია. ნაგებობა შუაზეა გადახსნილი და სერიოზული დაზიანების საფრთხეს უქმნის ყველა მოსარგებლეს.



ამგვარად, აბსოლუტურად მიზანშეუწონელია ამბულატორიის აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირების გაგრძელება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, წყლისა და სანიტარიის პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას აზრი არ აქვს.

სოფელ ომალოს ამბულატორია

სოფელ ომალოში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 1 ექიმი და 2 ექთანის ფიზიკური პირების სტატუსით. სამედიცინო პერსონალი ყოველ სამუშაო დღეს ემსახურება სამიზნე მოსახლეობას. მაღალმთიანი სოფლის სტატუსის გამო ამბულატორიაში დასაქმებულები არ იხდიან სამემოსავლო გადასახადს, იღებენ სახელფასო დანამატს. მთლიანობაში ამბულატორია ემსახურება პანკისის ხეობის 5 სოფლის 1436 მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი თვიურად 80-100 კაცს შეადგენს. ექიმები აღნიშნავენ, რომ, ზოგადად, კუჭ-ნაწლავის პრობლემებით პაციენტები ხშირად არ აკითხავენ, თუმცა ნაწლავის ჭიები ბავშვებში მასობრივად არის გავრცელებული.

ამბულატორიის შენობას უკავია 4 ოთახი, რაც შეადგენს დაახლოებით 80 კვ.მ. შენობა მისი აშენების პერიოდიდან მოყოლებული (1990-იანი წლების ბოლო) არ გარემონტებულა. ამბულატორია შშმ პირებზე ადაპტირებული არ არის. ელექტროენერჯია მუდმივად მიეწოდებათ. ამბულატორიაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შენობის გათბობა

წლის ცივ პერიოდში. სოფელში არის გაზის გაყვანილობა, თუმცა ამბულატორიაში არ არის შეყვანილი. შეშას თვით სამედიცინო პერსონალი ყიდულობს და ეზიდება ამბულატორიაში.

ამბულატორიის ეზოში ხელმისაწვდომია წყალი, რომელიც მიეწოდება მილით მოშორებით არსებული რეზერვუარიდან. აღსანიშნავია, რომ წვიმების დროს რეზერვუარის წყალი შემღვრეულია. წყლის უსაფრთხოება ლაბორატორიულად არ არის შემოწმებული, არ ხდება არც მისი გაფილტვრა. წყლის შემღვრევის შემთხვევაში წყალი ჭურჭლით მოაქვთ მოშორებით არსებული წყაროდან. ექიმის ოთახში მოწყობილია ხელსაბანი წერტილი (კედელზე მიმაგრებული მცირე ზომის ხელსაბანის ბაკი). თუმცა საპონი ხელსაბანთან არ დევს და ვიზიტის დღეს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შენობის გარეთ. პერსონალის გადმოცემით, ეს განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ხელის დასაბანად, ძირითადად, ეზოში არსებული ონკანით სარგებლობენ.

ამბულატორიის მიმდებარე ეზოში მდებარეობს „ორმოს“ ტიპის ხის ტუალეტი, რომელიც ამორტიზებულ მდგომარეობაშია და დარღვეულია სანიტარიული სტანდარტები. ტუალეტს არ მიეწოდება წყალი და არც ხელსაბანია მის ახლომახლო.



ამბულატორიაში არ ჰყავთ სანიტარი/დამლაგებელი, ექთანი თავად ასუფთავებს ოთახს. პერსონალის გადმოცემით, ისინი თვითონ ყიდულობენ დასუფთავების ქიმიურ საშუალებებს (თუმცა ჩვენი ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინეს). სარეცხი ტილოები, ხალათები და სხვა ნივთები სახლში მიაქვთ გასარეცხად. არ აქვთ სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები.

ვერ მივიღეთ ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სამედიცინო ნარჩენების უტილიზაცია, სხვა სახის ნარჩენებს კი წვავენ ლუმელში. აქვთ მაცივარი ვაქცინებისათვის (გამორთული იყო ვიზიტის მომენტში ვაქცინების არქონის გამო).

სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამბულატორიაში წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შედარებით მცირე დაზიანებების არსებობის დროს საკუთარი ძალებით ცდილობენ პრობლემების მოგვარებას. თუმცა მსხვილ პრობლემებს (მაგ., ახალი სტანდარტების

შესაბამისი ტუალეტის მოწყობა) თავად ვერ აგვარებენ და არც წარმოადგენა აქვთ, თუ ვინ შეიძლება ამაში დაეხმაროთ.

სოფელ მადრაანის ამბულატორია

სოფელ მადრაანში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 1 ექიმი და 1 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ამბულატორია კვირაში მხოლოდ 2 დღე (ორაშაბათი და პარასკევი) მუშაობს. თვის განმავლობაში საშუალოდ დებულობენ 60-70 პაციენტს (უმეტესობა ქალია). ჯამში, ამბულატორიაში რეგისტრირებულია სამი სოფლის (ფიჩხოვანი, არგოხი და მადრაანი) 1,100 მოსახლე.

ამბულატორია მდებარეობს ნაწილობრივ ამორტიზებულ შენობაში, საერთო ფართობით 40 კვ.მ. შენობაში სულ 4 ოთახია, რომელთაგან იყენებენ 2-ს. 2009 წელს ამ ოთახებში გაკეთდა კოსმეტიკური რემონტი. ამჟამად სახურავი დაზიანებულია და ჭერიდან შენობის ნაწილში ჩამოდის წყალი. ამბულატორიას ელექტროენერგია მუდმივად მიეწოდება. ეზო შემოღობილი არ არის.



წყალი მილით შედის ამბულატორიის ეზოში, თუმცა მილს არ აქვს ონკანი და ვერ იყენებენ. ამავე დროს, პერსონალის განცხადებით, წყლის ხარისხი არაადაამკმაყოფილებელია და მხოლოდ ტექნიკური მიზნებისათვის თუ გამოიყენებენ. სასმელი წყალი კი მეზობლებიდან მოაქვთ.

ტუალეტი მდებარეობს შენობის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ხის ჯიხურს, რომელიც ამორტიზებულია და მისი გამოყენება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. შეფასების მომენტში ტუალეტი დაგვხვდა მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. ტუალეტს არ მიეწოდება წყალი და არ აქვს ხელსაბანები. ამგვარად, ამბულატორიას ტუალეტი ფაქტობრივად არ გააჩნია.



მყარი ნარჩენების გატანა ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, რომელიც ამბულატორიის ეზოდან 10 მეტრში დგას. თუმცა პერსონალის ცნობით, ურნა ხშირად არის გადავსებული, რადგან მისი გატანა 10-14 დღეში ერთხელ ხდება. ჩვენი ვიზიტის მომენტში ურნა ნაწილობრივ იყო გავსებული. რაც შეეხება სამედიცინო ნარჩენებს - ექიმის განცხადებით, სამედიცინო ნარჩენები ამბულატორიაში საერთოდ არ აქვთ.

სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამბულატორიაში წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება და მათ მოგვარებაზეც არავინ ზრუნავს. ამბულატორიაში ასევე არ მოიპოვება არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა ჰიგიენის საკითხებზე.

ზემო ალვანის ამბულატორია

სოფელ ზემო ალვანში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ამბულატორიის მომსახურება კვირაში ყველა სამუშაო დღეს არის ხელმისაწვდომი. თვის განმავლობაში საშუალოდ დებულობენ 150-მდე პაციენტს (აქედან 2/3 ქალი). ჯამში, ამბულატორიაში რეგისტრირებულია 3,400 მოსახლე.

ამბულატორია განთავსებულია სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში. სულ გამოყოფილი აქვს 2 ოთახი, საერთო ფართობით – 50 კვ.მ. ამ ოთახებს დაახლოებით 10 წლის წინ გაუკეთდა რემონტი. უჭირთ პაციენტების პრივატულობის დაცვა, განსაკუთრებით – წლის ცივ პერიოდში. ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდებათ.

ამბულატორიის ეზოში შეყვანილია წყალი, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდება. განსაკუთრებით პრობლემები ექმნებათ წლის ცხელ პერიოდში. წყლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, რადგან სათავე ნაგებობა ახალი გაკეთებული და დაცულია. დეფიციტის შემთხვევაში არის სასმელი წყლის ალტერნატიული წყარო, რომელიც ამბულატორიიდან 100 მეტრში მდებარეობს.



ტუალეტი არის შენობის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ჯიხურს, რომელიც ამორტიზებულია და მისი გამოყენება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. შეფასების მომენტში ტუალეტი დაგვხვდა მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. ტუალეტს არ მიეწოდება წყალი და არ აქვს ხელსაბანები. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამბულატორიას ტუალეტი ფაქტობრივად არ გააჩნია. არ ხდება აგრეთვე შენობის პერიოდული დეზინფექცია და ამისათვის არც ქიმიური საშუალებები აქვთ.



მყარი ნარჩენების გატანა ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, რომელიც შენობასთან ახლოს მდებარეობს. სამედიცინო ნარჩენებს აგროვებენ სპეციალურ ყუთში და შემდეგ გადასცემენ ფირმას („ეკო მედიკალ ჯგუფი“), რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში ახდენს მათ გატანას და შემდგომ უტილიზაციას. შპს „ეკო მედიკალ ჯგუფი“ საქართველოს მასშტაბით მსგავს მომსახურებას უწევს როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებს და მოგებული აქვს რამდენიმე სახელმწიფო ტენდერი. ფირმა ნარჩენების უტილიზაციას ახდენს ინსინირების მეთოდით.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღინიშნება სანიტარიის მიმართულებით. არ გააჩნიათ არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა ჰიგიენის საკითხებზე.

ქვემო ალვანის ამბულატორია

სოფელ ქვემო ალვანში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ამბულატორიის მომსახურება კვირაში ყველა სამუშაო დღეს არის ხელმისაწვდომი. წლის თბილ პერიოდში თვის განმავლობაში საშუალოდ ღებულობენ 50-მდე პაციენტს, ხოლო ზამთარში მათი რაოდენობა 200-ს აღწევს (აქედან უმეტესობა ქალია). ჯამში, ამბულატორია ემსახურება სოფლის 3,500-მდე მოსახლეს.

ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია მოხდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2005-2006 წლებში. შენობა მოიცავს 7 ოთახს, საერთო ფართობით – 180 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ შესასვლელი მიწის დონეზე დაბლა მდებარეობს, რის გამოც ნალექების შემთხვევაში წყალი შენობაში შედის. დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, თუმცა არ მუშაობს. პერსონალის განცხადებით, რომც მუშაობდეს, გაუჭირდებოდათ მოხმარებული აირის საფასურის გადახდა. შენობას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, ადაპტირებულია შშმ პირებზე და დაცულია პაციენტების პრივატულობა/კონფიდენციალობა.

ამბულატორიის შენობაში შეყვანილია წყალი, რომელიც მიეწოდებათ 2-4 დღე კვირაში. ამბულატორიაში არასოდეს მომხდარა წყლის ხარისხის ლაბორატორიული შემოწმება. პერსონალს მიაჩნია, რომ წყალი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და არც არის საკმარისი ამბულატორიის საჭიროებებისათვის. ამიტომ მას იყენებენ მხოლოდ ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელი წყალი კი შემოაქვთ გარედან (დაახლოებით 50 მეტრის მანძილიდან). ამბულატორიას აქვს წყლის ავზი, თუმცა მასში წყალი არ შედის და არასოდეს გამოუყენებიათ.

ამბულატორიას აქვს ჩასარეცხი ტუალეტები შენობის შიგნით. ტუალეტებს არ მიეწოდება წყალი და მათ ფაქტობრივად არ იყენებენ. ამბულატორიაში ხელმისაწვდომია 7 ხელსაბანი, თუმცა მხოლოდ 1 ფუნქციონირებს. საპონი იყო ფუნქციონირებად ხელსაბანთან. ამბულატორიაში პერიოდულად ხდება დეზინფექცია, და ზოჯერ ქირაობენ დამლაგებელს.



მყარი ნარჩენების გატანა ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, რომელიც შენობასთან ახლოს მდებარეობს. სამედიცინო ნარჩენებს აგროვებენ სპეციალურ ყუთში და, ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვა ამბულატორიების მსგავსად, გადასცემენ ფირმას, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში ახდენს მათ გატანასა და შემდგომ უტილიზაციას.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება. ასევე არ გააჩნიათ არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე.

ხოდაშენის ამბულატორია

სოფელ ხოდაშენში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 1 ექიმი და 1 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ამბულატორიის მომსახურება კვირაში ყველა სამუშაო დღეს არის ხელმისაწვდომი. თვის განმავლობაში საშუალოდ ღებულობენ 200-მდე პაციენტს. ჯამში, ამბულატორია ემსახურება 4 სოფლის (აწყური, ჩაბინაური, ხორხე და ხოდაშენი) 2,200-მდე მოსახლეს.

ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია მოხდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2005 წელს. შენობა მოიცავს 6 ოთახს, საერთო ფართობით – 100 კვ.მ. შენობას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, ადაპტირებულია შშმ პირებზე და დაცულია პაციენტების პრივატულობა/კონფიდენციალობა.

ამბულატორიის შენობაში მილით შეყვანილია წყალი, რომელიც არარეგულარულად მიეწოდებათ (განსაკუთრებით – ზაფხულის თვეებში). ფუნქციონირებს წყლის 2 წერტილი (1 ტუალეტი + 1 ოთახი). ლაბორატორიულად წყლის შემოწმება არ განხორციელებულა. პერსონალს მიაჩნია, რომ მოწოდებული წყლის ხარისხი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და საკმარისი არ არის ამბულატორიის საჭიროებებისათვის. სასმელი წყალი შემოაქვთ გარედან (სახლებიდან მოაქვთ). ამბულატორიას აქვს წყლის ავზი, თუმცა მას არ იყენებენ გაურკვეველი დაზიანების გამო. პერსონალს არ უცდია ამ საკითხის გარკვევა და თავისი ძალებით მოგვარება.

ამბულატორიას აქვს საერთო სარგებლობის ჩასარეცხი ტუალეტი შენობის შიგნით. ტუალეტს მიეწოდება წყალი. ამბულატორიაში არის 5 ხელსაბანი, თუმცა მხოლოდ 2 ფუნქციონირებს. საპონი ფუნქციონირებდად ხელსაბანთან იყო ხელმისაწვდომი. ამბულატორიაში დეზინფექცია არ ხდება რეგულარულად და არც ქიმიურ საშუალებებს ყიდულობენ. არ ჰყავთ დამლაგებელი და თვით პერსონალი ზრუნავს ამბულატორიის სისუფთავეზე.

მყარი ნარჩენების გატანა ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის სანაგვე ურნაში, თუმცა ურნის დაცლა არარეგულარულად ხდება. პერსონალის ინფორმაციით, დაახლოებით 3 თვეა, რაც დასუფთავების სამსახურის მანქანა არ გამოჩენილა. შესაბამისად, სანიტარიული ობიექტები გადავსებული იყო შეფასების მომენტში. სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციაც საყოფაცხოვრებო ნარჩენთან ერთად ხდება, რაც არასწორია და აღნიშნული პრაქტიკა უნდა შეიცვალოს.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება. თავად არ შეუძლიათ პრობლემების მოგვარება მწირი დაფინანსების გამო. არ გააჩნიათ არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე.

საბავშვო ბაღები

სოფელ მატანის N1 საბავშვო ბაღი

ბაგა-ბაღში ირიცხება 90 აღსაზრდელი. ბაგა-ბაღს აქვს სველი წერტილები შენობის შიგნით და მოწესრიგებულ მდგომარეობაში. სამზარეულო მდებარეობს მთავარი შენობის გარეთ, ცალკე ნაგებობაში. ვიზიტის დღეს ხელმისაწვდომი იყო ცივი და ცხელი წყალი. სანიტარიულ კვანძებში დაცული იყო სანიტარიული ნორმები.

სოფელ მადრაანის საბავშვო ბაღი

სოფელ მადრაანის საბავშვო ბაღში ირიცხება 20 ბავშვი (10 გოგონა და 10 ვაჟი), მათ შორის 2 – სპეციალური საჭიროებების მქონე (1 გოგონა და 1 ვაჟი). ბაღს ემსახურება 2 პედაგოგი. ბაღის შენობა და ეზო განახლებული და ძალიან კარგ მდგომარეობაშია.

ბაღის შენობაში (სამზარეულოში) მილსადენით შემოდის წყალი, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს და საკმარისი რაოდენობითაც მიეწოდებათ. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყლის ალტერნატიული წყარო არ გააჩნიათ, ამიტომ იმარაგებენ ჭურჭელში და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. თუმცა, პერსონალის გადმოცემით, წყალი იშვიათად წყდება და ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები არ აქვთ.

ბაღის ეზოში ფუნქციონირებს საერთო სარგებლობის „ორმოს“ ტიპის ხის ტუალეტის ჯიხური, რომელიც ამორტიზებულ მდგომარეობაშია. აუცილებელია ტუალეტის ბაღის შენობაში მოწყობა. შეფასების მომენტში დათვალიერებულ იქნა რამდენიმე გაუქმებული ოთახი, რომელიც იძლევა შენობის შიგნით ტუალეტის მოწყობის შესაძლებლობას.

კუსტარული ხელსაბანი მოწყობილია ბაღის აივანზე, რაც პრობლემურია, განსაკუთრებით - ზამთრის პერიოდში. შეფასების მომენტში ხელსაბანთან იყო საპონიც. შენობაში ტუალეტების გამართვის შემთხვევაში აუცილებელია მათთან ერთად ხელსაბანების მოწყობაც.

პერსონალის განცხადებით, სათანადო ყურადღება ექცევა ბაღში ჰიგიენის შესწავლას. თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. სასურველი იქნებოდა მეტი მასალის მიწოდება და პედაგოგების მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

ბაღის ტერიტორიასთან ახლოს არის სანაგვე ურნა, საიდანაც ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებს, როდესაც საქმე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება. მცირე დაზიანებების (დანახარჯების) შემთხვევაში კი ბაღს საკუთარი ძალებითაც შეუძლია წყლისა და სანიტარიის პრობლემების მოგვარება.

სოფელ ომალოს საბავშვო ბაღი

სოფელ ომალოს საბავშვო ბაღში ირიცხება 46 ბავშვი (18 გოგონა და 28 ვაჟი). შშმ ან სსმ არ ჰყავთ. ბაღს ემსახურება 3 პედაგოგი. დირექციის ინფორმაციით, ბაღში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი.

ბაღი მდებარეობს სოფლის საექიმო ამბულატორიის გვერდით და ამ ორ უწყებას აქვს წყლის მიწოდების საზიარო/საერთო მილი და წყლის საერთო წერტილი (ონკანი), რომელიც ღობესთან მდებარეობს. ზოგადად, მიწოდებული წყლის რაოდენობა საკმარისია, თუმცა ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი ხარისხი. ამ მხრივ განსაკუთრებული პრობლემები ექმნებათ უხვი ნალექების მოსვლის შემთხვევაში. ამ დროს წყალი შემღვრეულია და იძულებული ხდებიან, წყალი მოიტანონ ბიდონებით სოფლის სხვა წყაროდან. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად და სანიტარიული მიზნებისათვის. ბავშვებს სასმელი წყალი სახლებიდან არ მოაქვთ. ბაღის პერსონალი იყენებს დალექვის მეთოდს წყლის დასამუშავებლად - წყალს აყენებენ დახურულ ჭურჭელში გარკვეული დროის განმავლობაში და შემდეგ დასალევად ადუღებენ.

ბაღს აქვს ტუალეტის 3 ერთეული, მათგან 2 – ახლად გაკეთებული, და მდებარეობს შენობის შიგნით. მათი მოწყობა მოხერხდა კერძო პირების დახმარებით, რომლებიც ბაღის დირექციამ მოიძია. თუმცა ახლად გაკეთებული ტუალეტები არ ფუნქციონირებენ, რადგან მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა. ამიტომ იყენებენ მეორე საპირფარეშოს („ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხურს), რომელიც საერთოა ყველასათვის და მდებარეობს ბაღის ეზოში. საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად სჭირდებათ მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა და მიღებული აქვთ პირობა დახმარებაზე (თუმცა წინა წელს უკვე უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რაც არ იქნა შესრულებული).

ბაღის ეზოში არსებული წყლის წერტილი გამოიყენება ხელების დასაბანად. ხელსაბანი ტუალეტთან ახლოს არ მდებარეობს, რაც პრობლემურია - განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში. შეფასების მომენტში ხელსაბანთან იყო საპონიც. ტუალეტთან ერთად აპირებენ შენობაში ხელსაბანის მოწყობასაც.

პერსონალის განცხადებით, სათანადო ყურადღება ექცევა ბაღში ჰიგიენის შესწავლას და აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელოც. თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები ამ თემაზე არ მოეპოვებათ. სასურველი იქნებოდა მეტი მასალის მიწოდება და პედაგოგების მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

მყარი ნარჩენები (ნაგავი) გააქვთ ბაღის ტერიტორიიდან მოშორებით და თხრილში ყრიან, რომელიც არალეგალურად არის მოწყობილი. აქვთ სადრენაჟე სისტემა, რითაც გამოყენებული წყალი გაედინება სპეციალურ საკანალიზაციო ჭაში. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. ბაღში დასუფთავებაზე პასუხისმგებლები არიან ძიძები.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე, ზოგადად, პასუხს აგებენ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები. შედარებით მცირე დაზიანებების (დანახარჯების) შემთხვევაში ბაღს მათი დახმარების გარეშეც შეუძლია წყლისა და სანიტარიის პრობლემების მოგვარება.

ლაგოდების მუნიციპალიტეტი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებიდან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეუძლებელი იყო შესაფასებელი ობიექტების წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით დაყოფა და შერჩევა. მიღებული წერილები იუწყებოდნენ, რომ სამიზნე ობიექტები, ზოგადად, აკმაყოფილებდნენ წყლისა და სანიტარიის შესახებ დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს და არც რაიმე ინფორმაცია ჰქონდათ ამ კუთხით დარღვევების შესახებ.

აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ შეფასებაში სკოლების, ბაღებისა და ამბულატორიების მაქსიმალური რაოდენობა ყოფილიყო ჩართული. პროექტის გუნდი შეეცადა, სხვა წყაროებით ან უშუალოდ შესაფასებელი ობიექტებისაგან მიეღო ინფორმაცია იქ წყლისა და სანიტარიის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ლაგოდების რაიონში შეფასებულ იქნა 7 საჯარო სკოლა, 2 საბავშვო ბაღი და 1 ამბულატორია (იხ. დანართი 8).

ამავე დროს, გარკვეულ ობიექტებზე წინასწარ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია, განხორციელდა ვიზიტი, თუმცა შემდეგ არ ჩატარებულა დეტალური შეფასება. WaSH-ის მხრივ, ამ წერტილებში არსებული შედარებით კეთილსაიმედო მდგომარეობის გამო. ამ ობიექტებს ლაგოდების მუნიციპალიტეტში მიეკუთვნებიან 1 საჯარო სკოლა, 3 საბავშვო ბაღი და 6 ამბულატორია (იხ. დანართი 8). ქვემოთ მოცემულია ძირითადი მონაცემები იმ ობიექტებში, რომლებშიც დეტალური შეფასება განხორციელდა.

საჯარო სკოლები

ბაისუბნის საჯარო სკოლა

სოფელ ბაისუბანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 195 მოსწავლე (120 ვაჟი და 75 გოგონა), რომელთაგან 8 პირია სპეციალური საჭიროებების მქონე (3 გოგონა და 5 ვაჟი). 60 მოსწავლე მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას (აზერბაიჯანელი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 27-ს (3 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან

დაკავშირებით რაიმე საქმიანობა არ განუხორციელებიათ. დირექციას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა და ხორციელდება თვითშეფასებაც. გეგმა ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც მდებარეობს სკოლის ეზოში. წყლის ლაბორატორიული შემოწმება მოხდა 2014 წელს და დადგინდა მისი უსაფრთხოება. წყალი უწყვეტად საკმარისი რაოდენობით მიეწოდება სკოლას. წყლის წერტილი მდებარეობს სკოლის ეზოში, სადაც დამონტაჟებულია ონკანი. დამატებით ხდება წყლის შეგროვება წყლის ავზში, რომელიც გამოიყენება ტექნიკური მიზნებისათვის. წყლის რეზერვუარის დასუფთავებას პერიოდულად ახდენენ. მოსწავლეები სკოლაში არსებულ წყალს იყენებენ სასმელად (პირდაპირ შადრევნიდან სვამენ) და იშვიათად მოაქვთ სახლებიდან. წყალი ასევე ხელმისაწვდობია სსმ მოსწავლეებისთვისაც.

სკოლის ეზოში არის ტუალეტის 2 ჯიხური (სულ – 6 ერთეული) გოგონების, ვაჟებისა და მასწავლებლებისათვის. გოგონების (1 ერთეული) და მასწავლებლების (1 ერთეული) საპირფარეშოს შენობა ახლად აშენებულია, რომელსაც აქვს ინდივიდუალური ხელსაბანები. ვაჟებისათვის სკოლის სახსრებით გარემონტდა ძველი საპირფარეშო, რომელსაც არ აქვს ხელსაბანი. შესაბამისად, ბიჭებისთვის ხელის დასაბანად განკუთვნილია ეზოში არსებული ონკანი. სკოლაში სულ არის 4 ადგილი, სადაც შეიძლება ხელის დაბანა. შეფასების მომენტში ხელსაბანთან იყო საპონი და ქაღალდი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურმა გასულ სასწავლო წელს მოსწავლეები შეამოწმა ნაწლავის ჭიებზე და გამოვლენილ შემთხვევებში მოსწავლეებს დაურიგდათ შესაბამისი მედიკამენტები.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. მაგრამ სკოლაში არ გააჩნიათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს გაუვლიათ სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომლებიც გროვდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნაში. დასუფთავების სამსახურს კი ყოველკვირეულად გააქვს ნაგავი. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა და არ ხდება ნახმარი წყლების დაგროვება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ სკოლა თვითონ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. ამიტომ, ძირითადად, სწორედ საკუთარი ძალებით ცდილობენ ყველა პრობლემის მოგვარებას.

გვიმრიანის საჯარო სკოლა

სოფელ გვიმრიანში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 50 მოსწავლე (28 ვაჟი და 22 გოგონა), რომელთაგან 3 ვაჟია სპეციალური

საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 18-ს (1 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა (თუმცა სანიტარია-ჰიგიენასთან დაკავშირებით რაიმე საქმიანობა არ განუხორციელებიათ).

სკოლა მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომელიც შემოყვანილია ეზოში მილით. სკოლის ეზოში არის წყლის ერთადერთი წერტილი და მდებარეობს სკოლიდან და საპირფარეოდან 150-200 მეტრის დაშორებით. წყალი მიჩნეულია უვნებლად და სკოლას მიეწოდება უწყვეტად საკმარისი რაოდენობით. წყლის მიწოდების სხვა ალტერნატიული წყარო არ აქვთ, თუმცა შენობაში დადგმულია წყლის დისპენსერი, რომელსაც დამატებით იყენებენ სასმელად და ავსებენ ეზოში შემომავალი ჭაბურღილის წყლით. სასმელად იყენებენ ერთჯერად ან საკუთარი მოხმარების მრავალჯერად ჭურჭელს. წყალი აგრეთვე ხელმისაწვდომია სსმ მოსწავლეებისთვისაც.

სკოლის ეზოში არის ტუალეტის 3 ერთეული - გოგონების, ვაჟებისა და მასწავლებლებისათვის. ტუალეტის ყველა ერთეული მოპირკეთებულია, რაც შესაძლებელს ხდის მის სველი წესით სათანადო დამუშავებას. შეფასების მომენტში ტუალეტის ყველა ერთეული იმყოფებოდა სუფთა მდგომარეობაში. გოგონების ტუალეტს შიგნიდან საკეტი არ ჰქონდა. ტუალეტთან მოწყობილია ხელის დაბანის წერტილი, რომელიც წარმოადგენს კედელზე მიმაგრებულ წყლის მცირე ზომის კონტეინერს ონკანით. წყალს სხვადასხვა ჭურჭლით ეზიდებიან კონტეინერის ასავსებად. ასევე სათლით მიაქვთ წყალი ტუალეტის დასასუფთავებლად. შეფასების მომენტში ხელსაბანებთან იყო საპონი და ქაღალდი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურმა გასულ სასწავლო წელს შეამოწმა ბავშვები ნაწლავის ჭიებზე და გამოვლენილ შემთხვევებში დაურიგდათ შესაბამისი მედიკამენტები.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში არ გააჩნიათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს გაუვლიათ სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომლებიც გროვდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნაში. დასუფთავების სამსახურს კი ყოველკვირეულად გააქვს ნაგავი. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სკოლაში ნაწილობრივ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა - გამავალი წყლის არხი გასაწმენდია და წყალი ეზოში გროვდება.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ სკოლა შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი წყლისა და სანიტარიული სისტემების სრულყოფილ ფუნქციონირებაზე. ამჟამად აღნიშნული სისტემები მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული. სკოლის დირექციის განცხადებით, მხოლოდ საკუთარი ძალებით უჭირთ ყველა პრობლემის მოგვარება და ესაჭიროებათ დახმარება.

გიორგეთის საჯარო სკოლა

სოფელ გიორგეთში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 198 მოსწავლე (118 ვაჟი და 80 გოგონა), რომელთაგან 1 გოგონაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 24-ს (2 მამაკაცი და 22 ქალი). მოსწავლეთა მესამედი მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას (აზერბაიჯანელი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექციას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა და ხორციელდება თვითშეფასება. გეგმა ითვალისწინებს წყლისა და სანიტარიის საკითხებს. თუმცა რეალურად სკოლაში წლების განმავლობაში აქტუალურია ქვეწარმავლების პრობლემა. სკოლასთან ახლოს არის ჭაობი, საიდანაც გველები შემოდის სკოლის შენობაში და საკლასო ოთახებში. ჩატარდა სამუშაოები პირველი სართულისა და საძირკვლის გასამაგრებლად, რის შედეგადაც, დირექციის ცნობით, შედარებით შემცირდა ქვეწარმავლების რაოდენობა.

სკოლას წყალი მიეწოდება სოფლის ჭაბურღილიდან მილების საშუალებით. წყლის მიწოდება ხდება უწყვეტად და სკოლის საჭიროებებისათვის საკმარისი რაოდენობით. ყოველწლიურად ტარდება წყლის ლაბორატორიული შემოწმება, რაც აჩვენებს, რომ წყალი სასმელად ვარგისია. ამიტომ სკოლაში დამატებით არ ხდება წყლის გაფილტვრა და ქლორაცია. ეზოში მოწყობილია შადრევანი, საიდანაც ბავშვები სვამენ წყალს. შადრევნიდან წყლის დაღევა დაწყებითი კლასის მოსწავლეებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ, თუმცა მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს მაინც მოაქვს სახლიდან სასმელი წყალი.

სკოლაში არსებობს ტუალეტის 2 ჯიხური, რომელთაგან ერთი ძველია და ნაწილობრივ ამორტიზებული. ახლად გაკეთებული ტუალეტის ჯიხური კი შეიცავს 2-2 ერთეულს გოგონების, ვაჟებისა და პედაგოგებისათვის (პედაგოგებისათვის ტუალეტი ცალკე გამოყოფილი არ არის). თუმცა, რადგან ახალი ნაგებობა საკმარისი არ არის, მოსწავლეთა ნაწილი ძველ საპირფარეშოსაც იყენებს. ახალ ტუალეტებთან მოწყობილია ხელსაბანები. სკოლაში არის ხელის დასაბანი 4 წერტილი, რომელთაგან 1 არ ფუნქციონირებს. ხელსაბანებთან ვიზიტის დღეს იყო საპონი.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. სკოლა თანამშრომლობს ორგანიზაცია CARE-თან, რომლის თანამშრომლებმაც გოგონებთან ჩატარეს საუბრები ჰიგიენისა და ნადრევი ქორწინების თემებზე. აქვთ შესაბამისი საინფორმაციო მასალებიც.

სკოლის ყველა კლასში აქვთ ნაგვის ურნები, საიდანაც მყარ ნარჩენებს აგროვებენ ნაგვის ტომრებში. რადგან სკოლის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს არ დგას დასუფთავების სამსახურის სანაგვე ურნა, ნარჩენებს პირდაპირ ტომრებით ატანენ დასუფთავების მუნიციპალიტეტის სამსახურის მანქანებს. ამიტომ აუცილებელია ურნის სკოლის ტერიტორიასთან ახლოს განთავსება. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები

გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა და არ ხდება გამოყენებული წყლების დაგუბება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის პერსონალს მიაჩნია, რომ სკოლა თვითონ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. ამიტომ, ძირითადად, სწორედ საკუთარი ძალებით ცდილობენ ყველა პრობლემის მოგვარებას.

ლელიანის საჯარო სკოლა

სოფელ ლელიანში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 264 მოსწავლე (155 ვაჟი და 109 გოგონა), რომელთაგან 11 არის სპეციალური საჭიროებების მქონე (3 გოგონა და 8 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27-ს (3 მამაკაცი და 24 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებენ მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო კლუბი, რომლებიც თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მომავლის თაობა“. თანამშრომლობა ითვალისწინებს აქტივობებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის კუთხით. სკოლაში რეგულარულად მუშავდება განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია წყლისა და სანიტარიის საკითხები.

სკოლას წყალი მიეწოდება სოფლის ჭაბურღილიდან მილების საშუალებით. შეყვანილია როგორც ეზოში, ისე სკოლის შენობაში (ბუფეტსა და ექიმის ოთახში). წყლის მიწოდება ხდება უწყვეტად, რაც საკმარისია სკოლის საჭიროებისათვის. ყოველწლიურად ტარდება წყლის ლაბორატორიული შემოწმება, რაც აჩვენებს, რომ წყალი სასმელად ვარგისია. ამიტომ სკოლაში დამატებით არ ხდება წყლის გაფილტვრა და ქლორაცია. მოსწავლეებს წყალი სახლებიდან არ მოაქვთ, სკოლაში კი წყალს სვამენ პირდაპირ ონკანიდან ან საკუთარი გამოყენების ჭურჭლით. სკოლას წყლის მიწოდების ალტერნატიული წყარო არ გააჩნია.

სკოლის ეზოში არსებობს ტუალეტი, რომელიც ნაწილობრივ ამორტიზებულია. შეიცავს 2 ერთეულს გოგონების და 2 ერთეულს ვაჟებისა და პედაგოგებისათვის (პედაგოგებისათვის ტუალეტი ცალკე გამოყოფილი არ არის). დირექციის ცნობით, იგეგმება აღნიშნული ტუალეტის რემონტი და ტენდერიც უკვე გამოცხადებულია. ტუალეტებთან მოწყობილი ხელსაბანები შეფასების მომენტში არ ფუნქციონირებდა. სკოლაში ხელის დაბანა შესაძლებელია 3 წერტილში. ხელსაბანებთან ვიზიტის დღეს საპონი არ იყო.



დირექციის განცხადებით, შესაბამისი საბუნებისმეტყველო საგნების ფარგლებში ისწავლება ჰიგიენა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საპნით ხელის დაბანის (განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტებში - მაგ., დეფეკაციის შემდეგ, ჭამის წინ) საკითხებს. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების საკითხებში ჩართულია სკოლის ექიმი, რომელსაც სპეციალური გადამზადება აქვს გავლილი ჰიგიენასთან დაკავშირებულ გარკვეულ თემებზე (მაგ., მოზარდთა რეპროდუქციული ჰიგიენის საკითხებზე). თუმცა სკოლას არ გააჩნია საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და ამ მხრივ საჭიროებს დახმარებას. სკოლაში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა შემოწმება ნაწლავის ჭიებზე და საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ შესაბამისი მედიკამენტები.

სკოლიდან ყოველდღიურად გააქვთ მყარი ნარჩენები, რომლებიც გროვდება ჯერ სკოლის, შემდეგ კი დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნებში. დასუფთავების სამსახურს კი ყოველკვირეულად გააქვს ნაგავი. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სკოლაში ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა და ნახმარი წყლები არ გროვდება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის ხელმძღვანელობამ ზუსტად არ იცის, თუ რომელი უწყება არის უპირველესად პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. ამავე დროს მიაჩნია, რომ სკოლა თვითონ არის პასუხისმგებელი სანიტარიული სისტემის გამართულობასა და დაზიანებების დროულად აღმოფხვრაზე. ამიტომ მცირე დაზიანებებს საკუთარი ძალებით (ჰყავთ ხელოსანი) უმკლავდებიან, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კი ესაჭიროებათ დახმარება. მაგალითად, დირექტორის დიდი სურვილია ტუალეტის შენობის შიგნით მოწყობა, რომლისთვისაც გამოყოფილი აქვთ შესაბამისი ფართობი, თუმცა დახმარების გარეშე არ შეუძლიათ აღნიშნული სურვილის რეალიზება.

ყარაჯალის საჯარო სკოლა

სოფელ ყარაჯალაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 205 მოსწავლე (დაახლოებით 85 ვაჟი და 120 გოგონა, ზუსტად ვერ დადგინდა), მათგან არავინაა სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27-ს

(10 მამაკაცი და 17 ქალი). სკოლაში არის, თუმცა ნაკლებად აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა (მითუმეტეს, WaSH-ის საკითხებში).

სკოლას წყალი მიეწოდება სოფლის ჭაბურღილიდან მილების საშუალებით, შეყვანილია სკოლის შესასვლელთან ეზოში. წყალი მიეწოდება უწყვეტად, რაც საკმარისია სკოლის საჭიროებისათვის. აღნიშნული წყალი მიჩნეულია უვნებლად ჯანმრთელობისათვის, ამიტომ სკოლაში დამატებით არ ხდება წყლის გაფილტვრა და ქლორაცია. ეზოში არსებობს დაუცველი ჭა, რომლის წყალსაც არ იყენებენ. აქვთ აგრეთვე წყლის ავზი, რომელსაც არ იყენებენ, რადგან ვერ უზრუნველყოფენ მის შენახვასა და მოვლას სანიტარიული სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეებს წყალი სახლებიდან არ მოაქვთ, სკოლაში კი წყალს სვამენ პირდაპირ ონკანიდან, ან იყენებენ საზიარო ჭურჭელს.

სკოლის ეზოში არის „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური, რომელიც ნაწილობრივ ამორტიზებულია. შეიცავს 2-2 ერთეულს გოგონებისა და ვაჟებისთვის და თითო-თითოს – პედაგოგებისათვის. შეფასების მომენტში ტუალეტის ყველა ერთეული იმყოფებოდა მძიმე ანტისანიტარიულ ვითარებაში. ტუალეტებს არ მიეწოდება წყალი და არ არის მოწყობილი ხელსაბანები. ხელის დაბანის 3 ერთეული მდებარეობს ტუალეტებიდან საკმაოდ მოშორებით (სკოლის შემოსასვლელთან, სადაც არის წყლის წერტილი). ხელსაბანებთან ვიზიტის დღეს არ იყო საპონი.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში არ გააჩნიათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და არც პედაგოგებს გაუვლიათ სპეციალური გადამზადება ჰიგიენის საკითხებში. სკოლაში გასულ წელს შეამოწმეს მოსწავლეები ნაწლავის ჭიებზე, მიმდინარე სასწავლო წელს კი მსგავსი შემოწმება არ ჩატარებულა და არც მედიკამენტები მიუწოდებიათ საჭიროების შემთხვევაში.

მყარი ნარჩენების უტილიზაცია ხდება პირდაპირ სკოლის ტერიტორიაზე, ღია ორმოში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ღობის მთლიანობა დარღვეულია, ამიტომ ეზოში ადვილად ხვდებიან გარეშე პირები და შინაური ცხოველები. შეფასების მომენტში სკოლის ეზოში სუფევდა საშინელი ანტისანიტარია. აუცილებელია სანაგვე ურნების დადგმა სკოლის ტერიტორიასთან ახლოს (დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ავტომანქანა ემსახურება სოფელს). სკოლაში ასევე მოუწესრიგებელია სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ნახშირი წყლები გროვდება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სკოლა და შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები ერთობლივად არიან პასუხისმგებლები წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულობასა და დაზიანებების დროულად აღმოფხვრაზე. თუმცა რეალურად სკოლაში ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა - დაბალია პერსონალის ცნობიერება WaSH-ის საკითხებთან

მიმართებაში. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ისიც კი არ კეთდება, რისი გაკეთებაც შეუძლიათ საკუთარი ძალებით.

გარდა ზემოთ დასახელებული სკოლებისა, სოფელ აფენის N2 და ჰერეთისკარის სკოლებში ჩატარდა მხოლოდ ნაწილობრივი შეფასებები, რაც განპირობებული იყო აღნიშნულ ობიექტებზე წყლისა და სანიტარიის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობითა და ვიზიტის მომენტში სკოლის დირექციის არყოფნით. თუმცა გამოიკვეთა გარკვეული სახის პრობლემები, რის გამოც გადაწყდა მათი შეფასების ანგარიშში შეყვანა.

აფენის N2 საჯარო სკოლა

სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლაში არის 208 მოსწავლე, რომელთა შორის 8 სპეციალური საჭიროებების მქონეა.

სკოლის ეზოში არსებული ძველი ტუალეტი ამორტიზებულია და აღარ გამოიყენება. სკოლის სახსრებით მოხერხდა ერთერთეულიანი ტუალეტის მოწყობა, რომელსაც იყენებენ როგორც გოგონები, ისე ვაჟები.

დირექციის ცნობით, სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა, რითაც ეზოში დაიწყო ახალი ტუალეტის მშენებლობა. თუმცა შენობა ნაწილობრივ არის აშენებული და საჭიროებს მთელ რიგ სამუშაოებს დასასრულებლად. სკოლა ჩასმული იყო ათასწლეულის გამოწვევების პროგრამაში, მიღებული ჰქონდათ დასტური და ელოდებოდნენ სკოლაში სარემონტო სამუშაოების დაწყებას. თუმცა, მათთვის უცნობი მიზეზების გამო, სკოლა ამოღებულ იქნა სიიდან. ამის ზუსტი მიზეზი სკოლაში არ იცინ, ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ერთ სოფელში ორი სკოლის გარემონტება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ შეიძლებოდა.



ჰერეთისკარის საჯარო სკოლა

ობიექტზე არ დაგეხვდა სკოლის ადმინისტრაცია, თუმცა სკოლის დარაჯსა და დამლაგებელთან ერთად მოხერხდა სკოლის სანიტარიული კვანძებისა და სველი წერტილების დათვალიერება. სკოლის შენობის ნაწილი ამორტიზებულია; კერძოდ, ერთ-ერთ ფლიგელზე კედელი ინგრევა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობას. ზოგადად, შენობის სხვა ნაწილებშიც კედლები არასახარბიელო მდგომარეობაშია.



სკოლის შენობაში არის ჩასარეცი ტუალეტის 2 ერთეული გოგონებისათვის, რომლებიც სუფთა მდგომარეობაშია. ტუალეტთან მოწყობილია ხელსაბანები, სადაც ვიზიტის მომენტში იყო საპონი და ქაღალდი. შენობის მეორე სართულზე ჩასარეცი ტუალეტის 1 ერთეული მოწყობილია მასწავლებლებისათვის, სადაც ასევე იყო დაცული სანიტარიული ნორმები. ვაჟებისათვის კი „ორმოს“ ტიპის ტუალეტის 3 ერთეული მოწყობილია ეზოში. შენობა

ნაწილობრივ ამორტიზებულია და სანიტარიული ნორმებიც ნაწილობრივ არის დაცული. აღნიშნულ ტუალეტთანაც არის ხელსაბანი.



სკოლაში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს სადრენაჟე სისტემა, რის გამოც ეზოს ერთი ნაწილი დატბორილია, რაც ქმნის ანტისანიტარიის კერას სკოლის ტერიტორიაზე.

საბავშვო ბაღები

თელას საბავშვო ბაღი

სოფელ თელას საბავშვო ბაღში ირიცხება 43 ბავშვი (19 გოგონა და 24 ვაჟი), მათ შორის არავინ არის სსმ ან შშმ. ბაღს ემსახურება 3 პედაგოგი. 19 ბავშვი მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას (აზერბაიჯანელი). ბაღის შენობა ამორტიზებულია, სახურავიდან ჩამოდის წყალი, რის შედეგადაც საკმაოდ დაზიანებულია ინტერიერი და ინვენტარი. მაღალი ნესტის გამო აბსოლუტურად მიზანშეუწონელია შენობაში ბავშვების ხანგრძლივი პერიოდით ყოფნა.

ბაღს წყალი მიეწოდება მილით და შეყვანილია როგორც ეზოში, ისე შენობაში. დირექციის განცხადებით, წყალი აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს (ჩატარებული აქვთ ლაბორატორიული ანალიზი) და საკმარისი რაოდენობითაც მიეწოდებათ. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყლის ალტერნატიული წყარო არ გააჩნიათ, ამიტომ იმარაგებენ ჭურჭელში და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ.

ბაღის ეზოში ფუნქციონირებს „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური 2 ერთეულით (1 – ბავშვებისათვის, 1 კი – ბაღის პერსონალისათვის), რომელიც ამორტიზებულია. აუცილებელია ტუალეტის ბაღის შენობაში მოწყობა. მუნიციპალიტეტისაგან მიღებული აქვთ ამის დაპირება.

ბაღში არის ხელსაბანის 2 ერთეული (1- ეზოში, 1 - შენობაში). ხელსაბანებთან შეფასების დღეს იყო საპონი.

პერსონალის განცხადებით, ბაღში ასწავლიან ჰიგიენას. თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე არ მიუწვდებათ ხელი და არც პედაგოგებს გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

მყარ ნარჩენებს აგროვებენ სანაგვე ტომრებში, რადგან ბაღის ტერიტორიასთან ახლოს არ არის სანაგვე ურნა. შეგროვებული ნარჩენები გააქვს დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ავტომანქანას, რომელიც კვირაში მხოლოდ ერთ დღეს მოდის ბაღის ტერიტორიასთან.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები. დირექციის განცხადებით, წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით ბაღს პრობლემა არ შექმნია. მთავარი პრობლემა მაინც უკავშირდება სახურავის შეკეთებას, რადგან არსებულ პირობებში შეუძლებელია წყლისა და სანიტარია-ჰიგიენის სტანდარტების სათანადო დონეზე შენარჩუნება და დაცვა.

კაბლის საბავშვო ბაღი

სოფელ კაბლის საბავშვო ბაღში ირიცხება 65 ბავშვი (27 გოგონა და 38 ვაჟი), მათ შორის არავინ არის სსმ ან შშმ. ბაღს ემსახურება 5 პედაგოგი. ბაღის შენობა არის ნაწილობრივ ამორტიზებული. ბევრი შეფასებული ბაღისაგან განსხვავებით, არ არის სათანადოდ მოწესრიგებული სამზარეულოს სველი წერტილები.

ბაღს წყალი მიეწოდება მილით და შეყვანილია შენობაში. დირექციის განცხადებით, წყალი აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს (ჩატარებული აქვთ ლაბორატორიული ანალიზი) და საკმარისი რაოდენობითაც მიეწოდებათ. წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყლის ალტერნატიული წყარო არ გააჩნიათ, ამიტომ იმარაგებენ ჭურჭელში და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ.

ბაღის ეზოში ფუნქციონირებს საერთო სარგებლობის „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური, რომელიც ამორტიზებულია. აუცილებელია ტუალეტის ბაღის შენობაში მოწყობა. ასევე არსებობს ხელსაბანების პრობლემა - არ არის მოწყობილი ხელსაბანები. წლის თბილ პერიოდში ბავშვებს ხელსაბანებზე შენობის გარეთ, ხოლო ზამთარში – შენობის ოთახებში.

პერსონალის განცხადებით, ბაღში ასწავლიან ჰიგიენას, თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე არ მიუწვდებათ ხელი და არც პედაგოგებს გაუვლიათ სპეციალური მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

მყარ ნარჩენებს აგროვებენ სანაგვე ტომრებში, რადგან ბაღის ტერიტორიასთან ახლოს არ არის ხელმისაწვდომი სანაგვე ურნა. შეგროვებული ნარჩენები გააქვს დასუფთავების

მუნიციპალური სამსახურის ავტომატის, რომელიც კვირაში ერთ დღეს მოდის ბაღის ტერიტორიასთან.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები. თუმცა შეფასების მომენტში WaSH-ის კუთხით დაფიქსირდა სხვადასხვა სახის ისეთი დარღვევები, რომელთა გამოსწორება თავად ბაღის ადმინისტრაციასაც შეუძლია სათანადო ცნობიერების არსებობის პირობებში.

ამბულატორიები

ფონას ამბულატორია

სოფელ ფონაში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 1 ექიმი და 1 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ექიმები და ექთნები კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. მთლიანობაში, ამბულატორია ემსახურება 3 სოფლის (ზემო ხეჩილი, დონა და ფონა) 600-მდე მოსახლეს, რეგისტრირებულ პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში 40 კაცს შეადგენს.

ამბულატორია სოფლის გამგეობის შენობაშია განთავსებული და უკავია 1 ოთახი, რომლის საერთო ფართობი 40 კვ.მ-ია. ერთი ოთახი ნამდვილად არ არის საკმარისი ამბულატორიის საქმიანობის სათანადო დონეზე წარმართვისა და პაციენტთა პრივატულობის/კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად. ასევე მწირია მათი სამედიცინო ინვენტარი. შენობა არ არის ადპტირებული შშმ პირებზე. პერსონალის ინფორმაციით, რემონტი დაახლოებით 7 წლის წინ გაკეთდა. ამბულატორიას ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება.

არც ამბულატორიის ეზოში და არც შენობაში არ არის შეყვანილი წყალი. წყლის ონკანი ამბულატორიიდან დაახლოებით 100 მეტრის მანძილზეა, გზის პირას. აღნიშნულ წერტილში წყალი მოედინება სოფლის ჭაბურღილიდან. წყლის დებიტი საკმარისია და საჭიროებს მხოლოდ შენობამდე მიყვანას. წყალი ლაბორატორიულად შემოწმდა დახლოებით 6-7 წლის წინ. თუმცა მას შემდეგ წყალი აღარ გამოუკვლევიათ და ზუსტად არ იციან, თუ როგორია მისი ხარისხი.

ტუალეტი მდებარეობს შენობის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ხის ჯიხურს, რომელიც ამორტიზებულია და მისი გამოყენება საფრთხეს წარმოადგენს. შეფასების მომენტში ტუალეტი დაგვხვდა მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. ტუალეტს არ მიეწოდება წყალი და არ აქვს ხელსაბანები. ამბულატორიის ოთახის გვერდით არის მოზრდილი ოთახი, რომელიც ადრე გარემონტდა შეხვედრებისათვის. თუმცა მრავალი წლის განმავლობაში დაკეტილია და აღარ გამოიყენება. სავსებით შესაძლებელია ამ ოთახის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება და იქ დამატებითი ოთახის და/ან ტუალეტის მოწყობა. ამჟამად

პერსონალი ხელს იზანს პირდაპირ ამბულატორიის აივნის მოაჯირთან (წყალს ერთმანეთს უსხამენ).

ასევე მძიმე მდგომარეობაა მყარი ნარჩენების უტილიზაციის თვალსაზრისით. დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურს რეგულარულად არ გააქვს ნაგავი, მყარ ნარჩენებს აგროვებენ და პირდაპირ ამბულატორიის ტერიტორიაზე წვავენ. სამედიცინო ნარჩენებს აგროვებენ სპეციალურ უსაფრთხო ყუთში.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება. დახმარებისათვის მიმართავენ შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებს, თუმცა რეალურად მათგან რაიმე მხარდაჭერა არ მიუღიათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღინიშნება სანიტარიის მიმართულებით. ამბულატორიაში არ გააჩნიათ არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ზოგადად, მძიმე მდგომარეობაა ხარისხიან სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ადგილობრივი „სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“-დან მიღებული ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასმელი წყლის 45-მდე სათავე ნაგებობა და თითქმის ყველა მარაგდება/ივსება ზედაპირული წყლებით. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობა და მათ შორის ჩვენი შეფასების ობიექტები – სკოლები, ბაღები და ამბულატორიები – მარაგდებიან არასასურველი ხარისხის მქონე წყლით (განსაკუთრებით უხვი ნალექების შემთხვევაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათავე ნაგებობის დიდი ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას, უმეტესობას არა აქვს სანიტარიული დაცვის ზონები, თავსახურავენ არა აქვთ საკეტები, რაც კიდევ უფრო ზრდის წყლის დაბინძურების რისკს. შედეგად, ცენტრის მიერ 2016-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღებული 1,200 ნიმუშიდან ქიმიური შემადგენლობის მიხედვით დარღვევა გამოვლინდა 250-ში, ხოლო ბაქტერიოლოგიური შემადგენლობა არ შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს 780 შემთხვევაში, ანუ აღებული ყოველი 3 ნიმუშიდან 2 ბაქტერიოლოგიურად დაბინძურებული იყო. ასევე არასაიმედო პროგნოზს აკეთებს ცენტრი მომავალში წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. რადგან, მათივე ცნობით, სათავე ნაგებობების გარშემო უმოწყალოდ იჩეხება ტყე, რის გამოც სათავე ნაგებობები დროთა განმავლობაში შეიძლება საერთოდ გაქრნენ.

რაც შეეხება უშუალოდ შესაფასებელ ობიექტების შესახებ ინფორმაციას, ამ მხრივ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურებიდან მიღებული ინფორმაცია ძალზე მწირი იყო. შესაბამისად, ვერ

მოხერხდა შესაფასებელი ობიექტების წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით რანჟირება და მათი პრიორიტიზირება. ამიტომ შეფასებაში საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ამბულატორიების მაქსიმალური რაოდენობა იქნა მოცული. პროექტის გუნდი შეეცადა, სხვა წყაროებით ან უშუალოდ შესაფასებელი ობიექტებისაგან მიეღო ინფორმაცია იქ წყლისა და სანიტარიის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. შედეგად, საგარეჯოს რაიონში განხორციელდა 6 საჯარო სკოლის, 3 საბავშვო ბაღისა და 6 ამბულატორიის დეტალური შეფასება (იხ. დანართი 8).

ამავე დროს, გარკვეულ ობიექტებზე წინასწარ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია, ან განხორციელდა ვიზიტი, თუმცა შემდეგ არ ჩატარებულა დეტალური შეფასება, ადგილზე WaSH-ის მხრივ არსებული შედარებით კეთილსაიმედო მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო (მაგ., სხვა ინიციატივების არსებობა, რომლებიც მიზნად ისახავენ წყლისა და სანიტარიის საკითხების მოგვარებას). სოფელ იორმულანლოს საბავშვო ბაღი დაკეტილი დაგვხვდა, თუმცა გარეგანი დათვალიერებითაც კარგად ჩანდა, რომ ბაღი სკოლამდელი დაწესებულებისათვის შეუფერებელ შენობაში ფუნქციონირებდა. ამიტომ აქაც ვერ მოხერხდა დეტალური შეფასების ჩატარება. ამგვარად, საგარეჯოს რაიონში ვიზიტის დროს დეტალური შეფასება არ განხორციელებულა 4 საჯარო სკოლაში, 5 საბავშვო ბაღსა და 3 ამბულატორიაში (იხ. დანართი 8).

ქვემოთ მოცემულია იმ ობიექტების ძირითადი მონაცემები, რომლებშიც დეტალური შეფასება განხორციელდა.

საჯარო სკოლები

გიორგიწმინდის საჯარო სკოლა

სოფელ გიორგიწმინდაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 245 მოსწავლე (144 ვაჟი და 101 გოგონა), რომელთაგან 3 ვაჟია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 28-ს (1 მამაკაცი და 27 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა (აქტიური) და მშობელთა კომიტეტი.

სკოლა მარაგდება დაცული ჭის წყლით, რომელიც მიეწოდება მიწების საშუალებით. წყალი გამოიყენება სასმელად, ხელების დასაბანად და სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. მოსწავლეთა ნაწილს ბოთლებით მოაქვს სასმელი წყალი სახლებიდან. ამგვარად, სკოლას ყოველდღე აქვს საკმარისი წყალი. წყალი პერიოდულად მოწმდება და მიჩნეულია სასმელად უსაფრთხოდ. ხელმისაწვდომია უმცროსი და შშმ პირებისთვისაც.

სკოლის ეზოში მდებარეობს „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური 9 ერთეულით - 4 გოგონების, 4 ვაჟების და 1 მასწავლებლებისათვის. ტუალეტი ადაპტირებულია შშმ პირებზე. შეფასების დროს სანიტარიული კვანძის ყველა ერთეული იმყოფებოდა სუფთა მდგომარეობაში.

ტუალეტებთან მოწყობილია 2 ხელსაბანი - კედელზე ჩამოკიდებული მცირე ზომის კონტეინერი, რომელშიც წყალს სათლით ასხამენ. ხელსაბანებთან იყო საპონი და ქაღალდი.

ღირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში ჰყავთ ექიმი, რომელიც უთმობს გარკვეულ დროს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ჰიგიენის საკითხებზე.

მყარი ნარჩენები (ნაგავი) გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, რომელიც არალეგალურად არის მოწყობილი. შეფასების დროს სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სკოლაში არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა და ნახმარი წყლები გუბდება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ რომელ უწყებას აკისრია პირველადი პასუხისმგებლობა სკოლაში წყლისა და სანიტარიული სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. ამიტომ, ძირითადად, საკუთარი ძალებით ცდილობენ ყველა პრობლემის მოგვარებას.

ქვემო ყანდაურის საჯარო სკოლა

სოფელ ქვემო ყანდაურაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების დროს სკოლაში ირიცხებოდა 124 მოსწავლე (ვაჟებისა და გოგონების რაოდენობაზე ზუსტი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ, ღირექციის ცნობით, გოგონების რაოდენობა მეტია), რომელთაგან მხოლოდ 2 ვაჟია სპეციალური საჭიროებების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27–ს (1 მამაკაცი და 26 ქალი).

წყლის მილით სკოლის ეზოში შედის წყალი, რომელიც მუდმივად მიეწოდება. წყალს იყენებენ სასმელად, ხელების დასაბანად და სკოლის სხვა საჭიროებებისათვის. წყალი შემოწმებულია ლაბორატორიულად და მისი უსაფრთხოება დადგენილია, თუმცა მოსწავლეთა ნაწილს მაინც ბოთლებით მოაქვს წყალი სახლებიდან.



სკოლის ეზოში არის ტუალეტის 3 ერთეული, რომელთაგან ერთი ადაპტირებულია შშმ პირებზე. რადგან სკოლაში შშმ მოსწავლეები არ ჰყავთ, ამიტომ ამ განყოფილებით გოგონები სარგებლობენ. დანარჩენი 2 ერთეული კი გათვალისწინებულია ვაჟებისა და პედაგოგებისათვის. ვიზიტის დღეს ტუალეტის ყველა განყოფილება იყო სუფთა მდგომარეობაში, იყო ტუალეტის ქაღალდიც. ტუალეტში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარები, თუმცა არ არის მიყვანილი წყალი. დირექციის განცხადებით, მოსწავლეები და პედაგოგები ხელს იბანენ ე.წ. „ბუფეტის ოთახში“, სადაც დამონტაჟებულია წყლის მცირე ზომის კონტეინერი ონკანით.თავად ტუალეტის ყოველ ერთეულში დგას წყლის სათლები (გამოიყენება ტუალეტების ჩასარეცხად და დასასუფთავებლად). **არსებულ პირობებში რეკომენდებული და ლოჯისტიკურად სავსებით შესაძლებელია წყლის მიყვანა ტუალეტებამდე.**



სკოლაში ისწავლება ჰიგიენა „სადამრიგებლო საათსა“ და ბიოლოგიაში. შეფასების ფარგლებში გავესაუბრეთ ბიოლოგიის მასწავლებელს, რომელიც საკმაოდ აქტიურია ჰიგიენის საკითხებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების საქმეში, თუმცა სკოლაში არ გააჩნიათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები აღნიშნულ თემაზე.

მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა ხდება რეგულარულად სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნაში. ურნას ცლიან და გააქვთ კვირაში ორჯერ. ვიზიტის დროს არცერთი სანიტარიული ობიექტი არ იყო გადავსებული. თუმცა ურნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმოფანტული იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. აუცილებელია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხებში.



სკოლას აქვს დამდგარი (და/ან ნახმარი) წყლების სადრენაჟო სისტემა. ვიზიტის დღისთვის სადრენაჟო სისტემა ფუნქციონირებდა.

სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალური სამსახური, რომელიც ეხმარება კიდეც დაზიანებების შეკეთებაში. ამჟამად სისტემა გამართულად მუშაობს მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ტუალეტებთან არ მიდის წყალი და არც სკოლის შენობაშია შეყვანილი. სანიტარიული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე სკოლა თავად იღებს პასუხისმგებლობას. რადგან რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანება არ ჰქონიათ, მიმდინარე მცირე ზომის პრობლემებს თავად აგვარებენ.

იორმულანლოს საჯარო სკოლა

სოფელ იორმულანლოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 1,242 მოსწავლე (ვაჟების რაოდენობა 2-ჯერ აღემატება გოგონებისას), რომელთაგან მხოლოდ 1 გოგონაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 84-ს (უმეტესობა ქალია). სწავლა მიმდინარეობს 2 ცვლად აზერბაიჯანულ ენაზე.

წყლის მილით სკოლის ეზოში მუდმივად შედის წყალი. წყალს იყენებენ სასმელად, ხელების დასაბანად და საჭმლის მოსამზადებლად (სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი). წყალი შემოწმებულია ლაბორატორიულად „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ მიერ და მისი უსაფრთხოება დადგენილია, თუმცა მოსწავლეთა ნაწილს მაინც მოაქვს წყალი ბოთლებით სახლებიდან.

სკოლას აქვს წყლის მიწოდების 2 ალტერნატიული წყარო: წყალი მიეწოდება როგორც სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან, ისე სკოლის ეზოში არსებული ჭაბურღილიდან. წყალი გროვდება რეზერვუარში, რომელიც ვიზიტის დღეს სათანადოდ იყო დახურული. დირექციის განცხადებით, წყალი ლაბორატორიულად არის შემოწმებული და მისი უსაფრთხოება დადგენილია. ეზოში წყალი მოედინება პირდაპირ პოლიეთილენის მილიდან, არ არის მოწყობილი ნიჟარა, ონკანი და დირექციის მიერ ცენტრალიზებულად ხდება წყლის გამოშვება და ჩაკეტვა. ჩვენი ვიზიტი დაემთხვა არდადეგების პერიოდს, ამიტომ წყალი დაკეტილი ჰქონდათ. სწავლის პერიოდში, სავარუდოდ, წყალი მუდმივად მოედინება და გარშემო ტერიტორია იტბორება. ეს პრობლემა ადვილად მოგვარებადია ონკანის დაყენებით. წყალი სკოლის შენობაში შეყვანილი არ არის.



სკოლის ეზოში ასევე ხელმისაწვდომია ახლად აშენებული ტუალეტის 16 ერთეული, რომელთაგან 2 ადაპტირებულია შშმ პირებზე. დანარჩენი 2 ერთეული (კაცი/ქალი) გათვალისწინებულია პედაგოგებისათვის, ხოლო 6-5 ერთეული – გოგონებისა და ვაჟებისათვის. ვაჟების ტუალეტში მოწყობილია 3 პისუარი. ვიზიტის დღეს ტუალეტი იყო ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში, არ იყო ტუალეტის ქაღალდი. ტუალეტში დამონტაჟებულია 13 ხელსაბანი ნიჟარა (გოგონებისთვის - 8, ვაჟებისთვის - 5), თუმცა არ იყო საპონი.



დირექციის განცხადებით, სკოლაში არ ისწავლება ჰიგიენა. სპეციალური ტრენინგი ჰიგიენის საკითხებზე არცერთ პედაგოგს არ გაუვლია და არც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები აქვთ ამ თემაზე. გასულ სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა ნაწლავის ჭიების საწინააღმდეგო პროგრამა და სათანადო პრეპარატები გადაეცა იმ მოსწავლეებს, რომლებიც საჭიროებდნენ მკურნალობას.

სკოლიდან უსაფრთხოდ არ ხდება მყარი ნარჩენების გატანა. შეგროვებული ნაგავი პირდაპირ იყრება და ნაწილობრივ იწვება სკოლის ეზოში, რაც, თავის მხრივ, ქმნის ანტისანიტარიის კერას სკოლის ტერიტორიაზე. ეზოში და მის მიმდებარედ არ არსებობს ნაგვის კონტეინერი და არ ხდება მყარი ნარჩენების ორგანიზებულად გატანა.



სკოლას აქვს დამდგარი (და/ან ნახმარი) წყლების სადრენაჟო სისტემა. ვიზიტის დღისთვის სადრენაჟო სისტემა ფუნქციონირებდა.

სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია თავად სკოლა და ამჟამად სისტემა გამართულად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს წყალი და ტუალეტებიც ახალი გარემონტებულია, WaSH-ის საკითხებზე ცნობიერება მაინც დაბალია (პირველ რიგში, სკოლის მენეჯმენტში) და ამ მხრივ ინტერვენციები აუცილებლად განსახორციელებელია.

მანავის საჯარო სკოლა

სოფელ მანავში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების დროს სკოლაში ირიცხებოდა 368 მოსწავლე (185 გოგონა და 183 ვაჟი). მათგან 2-ია შშმ (1 გოგონა და 1 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 42-ს (2 მამაკაცი და 40 ქალი). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლა შეიმუშავებს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას. დამატებით ყველა კლასს აქვს თავისი სამოქმედო გეგმა, რომლის ანგარიშსაც აბარებენ ყოველი წლის ბოლოს.

სკოლას აქვს წყალზე ხელმისაწვდომობა როგორც შენობის შიგნით, ასევე ეზოში. წყალი მილით მოედინება სოფლის რეზერვუარიდან. სკოლას აქვს აგრეთვე რეზერვუარი, რომელშიც აგროვებენ წყალს. დირექციის განცხადებით, სკოლის რეზერვუარი ყოველთვიურად იქლორება. სკოლა ასევე ახდენს წყლის ლაბორატორიულად შემოწმებას და შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. დამატებით აქვთ ერთჯერადი ტესტები (რომელიც საჩუქრად მიიღეს გაერო-ს ოფისიდან), რომელთა საშუალებით დამოუკიდებლად შეუძლიათ წყლის ხარისხის შემოწმება. სკოლის წყლით მომარაგება ხდება უწყვეტად და მიწოდებული წყალი საკმარისია სკოლის საჭიროებებისათვის. სასმელი წყალი მოსწავლეთა ნაწილს თავად მოაქვს სახლიდან ბოთლებით, ასევე შეუძლიათ შეიძინონ სკოლის ბუფეტში.

სკოლის ბუფეტში ხელმისაწვდომია სწრაფი კვების საკვები. ზოგადად, შეფასებულ სკოლებში ბუფეტი ან არ ფუნქციონირებს (უმეტესობა), ან არაჯანსაღი საკვები იყიდება. ეს პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს და საჭიროა როგორც მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ჯანსაღ კვებასა და კვების ჰიგიენის საკითხებზე, ასევე მათი ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა.



ტუალეტი მდებარეობს სკოლის შენობის გარეთ - ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხურს სამ-სამი განყოფილებით - გოგონებისთვის, ვაჟებისა და მასწავლებლებისთვის. შეფასების მომენტში ტუალეტის ყველა ერთეული იყო ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში. თუმცა პრობლემა არის ის, რომ ნაგებობა დაახლოებით 60 წლის წინ არის აშენებული, იატაკის ფილების ნაწილი დაზიანებულია (რაც ამწელებს მათ სათანადო დასუფთავებას), ხოლო საძირკველი ამორტიზებულია (ნაწილობრივ ჩავარდნილია) და

საჭიროებს განახლებას. სკოლის დირექციის განცხადებით, აპირებენ ამ პრობლემის მოგვარებას ადგილობრივი გამგეობის დახმარებითა და თანადაფინანსებით.



შენობის შიგნით ხელის დაბანა შესაძლებელია ექიმის კაბინეტში (ცხელი/ცივი წყალი), ბუფეტსა და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განკუთვნილ ოთახთან ახლოს დერეფანში. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომია წყლით სარგებლობა. უშუალოდ ტუალეტთან არის 2 წერტილი ხელის დასაბანად, ონკანთან იყო თხევადი საპონიც. ტუალეტების სისუფთავეზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი, რომლებიც ყოველდღიურად ქიმიური ხსნარით ამუშავებენ ტუალეტებს.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა ე.წ. „კლასის საათის“ ფარგლებში, რომელსაც ატარებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში ჰყავთ ექიმი (რომლის მომსახურებაც შეფასებული სკოლების უმეტესობაში ხელმისაწვდომი არ არის), რომელსაც ევალება (ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული) მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ჰიგიენის საკითხებზე.

მყარი ნარჩენები (ნაგავი) გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე, რომელიც, სავარაუდოდ, არააღეგალურად არის მოწყობილი. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. ფუნქციონირებს აგრეთვე სადრენაჟო სისტემა და ამის გამო გამოყენებული წყალი არ გროვდება სკოლის ტერიტორიაზე.

სკოლის პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ რომელი უწყება არის უპირველესად პასუხისმგებელი სკოლაში წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. დირექციის განცხადებით, რეალურად მათ არავინ ეხმარება. ამიტომ სანიტარიული სისტემის გამართვას საკუთარი ძალებით ცდილობენ, თუმცა მაღალი დანახარჯების მქონე პრობლემების მოგვარება საკუთარი ძალებით უჭირთ.

მუდანლოს საჯარო სკოლა

სოფელ მუდანლოში ფუნქციონირებს არასრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 206 მოსწავლე. ვაჟებისა და გოგონების ზუსტი რაოდენობა ვერ

დავადგინეთ. დირექციის განცხადებით, ვაჟების რაოდენობა (60%) აღემატება გოგონებისას (40%). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 20-ს (8 მამაკაცი და 12 ქალი). სწავლა მიმდინარეობს აზერბაიჯანულ ენაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლას აქვს განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია წყლისა და სანიტარიის საკითხები.

შეფასების მომენტში სკოლას არ ჰქონდა არანაირი ხელმისაწვდომობა სასმელ წყალზე. წყლის ტრანსპორტირება ხდება სკოლიდან 5 კმ-ში მდებარე წყაროდან, რომლითაც ავსებენ შენობაში არსებულ ავზებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სოფელში გაკეთდა წყალგაყვანილობის სისტემა - ერთ-ერთი მილი გადის სკოლის ტერიტორიასთან ახლოს და სკოლის ეზოშიც არის შემოყვანილი, თუმცა შეფასების დროს წყალი არ იყო გაშვებული. დირექციის ცნობით, სავარაუდოდ, სექტემბრიდან სკოლას ექნება წყალი.

სკოლაში არის „ორმოს“ ტიპის 2 ტუალეტის ჯიხური: ერთი ახლად აშენებული – მასწავლებლებისათვის (2 ერთეული) და მეორე – მოსწავლეებისათვის (ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის). ტუალეტები შეფასების მომენტში იყო სუფთა. მიუხედავად წყლის დეფიციტისა, ტუალეტებთან მოწყობილი იყო მცირე ზომის 2 ხელსაბანი ავზი (ძველ ტუალეტებთან), სადაც იყო საპონი და ხელსახოცი. ასევე მოწყობილია ხელსაბანი ახლად აშენებულ ტუალეტთან, თუმცა შეფასების მომენტში არ ფუნქციონირებდა. ამ მხრივ, მრავალი სხვა შეფასებული სკოლისაგან განსხვავებით, მულანლოს სკოლის პირობები, შესაძლოა, მაგალითად გამოდგეს - სკოლის მენეჯმენტს კარგად აქვს გაცნობიერებული WaSH-ის საკითხების მნიშვნელობა და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს სათანადო სტანდარტების დაცვას.



სკოლაში ისწავლება ჰიგიენა, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის სპეციალური მოდულის შემადგენელი ნაწილი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰიგიენის საკითხების სწავლებას დაწყებითი კლასის მოსწავლეებში, თუმცა, სხვა სკოლების მსგავსად, აქაც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ გააჩნიათ.

სკოლაში მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება ხდება სანაგვე ტომრებში და შემდეგ იწვება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლასთან ახლოს არ დგას სანაგვე ურნები, რომელთა დაცლა და გატანა მოხდებოდა რეგულარულად დასუფთავების სამსახურის მიერ. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სოფელში დაიდგა ურნები და რეგულარულად ხდება ნაგვის გატანა. თუმცა სკოლასთან ახლოს დასუფთავების მანქანა არ მოდის (რადგან ურნაც არ დგას). მიუხედავად ამ მდგომარეობისა, სკოლის ეზოში შეფასების მომენტში ანტისანიტარიული მდგომარეობა არ აღინიშნებოდა.

სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია თავად სკოლა. ამჟამად სისტემა ნაწილობრივ გამართულად მუშაობს, თუმცა სკოლის დირექცია ცდილობს ყველა პრობლემის მოგვარებას სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში.

ნინოწმინდის საჯარო სკოლა

სოფელ ნინოწმინდაში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 214 მოსწავლე (101 გოგონა და 113 ვაჟი), რომელთაგან 1 ვაჟია შშმ, ხოლო 5 – სსმ (1 გოგონა და 4 ვაჟი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 27-ს (ყველა ქალია). სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლებმაც მოამზადეს პროექტი ხელსაბანების მოწყობის შესახებ (თუმცა ეს პროექტი არ დაფინანსდა). სკოლას აქვს განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია წყლისა და სანიტარიის საკითხები.

სკოლის ეზოში მილით შეყვანილია წყალი, რომელიც გამოიყენება სასმელად, ხელის დასაბანად და სანიტარიული მიზნებისათვის. წყალი თითქმის ყოველდღე მოდის და აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებებს. პერსონალის ცნობით, მართალია, თვითონ არ ახდენენ წყლის ქიმიურ დამუშავებას, მაგრამ, მათი ინფორმაციით, იქლორება სათავე ნაგებობა. ამიტომ სკოლაში შემავალი წყალი მიჩნეულია უსაფრთხოდ. წყლის დასაღვეად იყენებენ როგორც ერთჯერად ჭიქებს, ასევე საკუთარ მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელსაც. მოსწავლეების ნაწილს წყალი ბოთლებით მოაქვს სახლიდან.

სკოლის ეზოში არის „ორმოს“ ტიპის ტუალეტის ჯიხური, რომელსაც აქვს 2 ერთეული გოგონებისათვის, 2 - ვაჟებისათვის და 1 - პედაგოგებისათვის. პედაგოგების ტუალეტი შეფასების მომენტში იყო ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში, ხოლო მოსწავლეების ტუალეტებში იყო მძიმე ანტისანიტარიული ვითარება. ტუალეტებთან მოწყობილი იყო 3 ხელსაბანი, თუმცა წყალი არცერთში არ მოდიოდა, ხელსაბანებთან არ იყო საპონი.

დირექციის განცხადებით, სკოლაში ისწავლება ჰიგიენა, როგორც „სადამრიგებლო საათის“ შემადგენელი ნაწილი. თუმცა სხვა სკოლების მსგავსად აქაც საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები არ გააჩნიათ და არც პედაგოგებს გაუვლიათ გადამზადება ჰიგიენის საკითხებში.

სკოლაში მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება ხდება სკოლის ტერიტორიასთან მდებარე სანაგვე ურნებში, რომელთაც რეგულარულად ცლის და გააქვს დასუფთავების სამსახურს. სანიტარიული ობიექტები შეფასების მომენტში გადავსებული არ იყო. სკოლაში სათანადოდ არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემა, რის გამოც ონკანის გარშემო ეზოს ნაწილი იტბორება და ზამთარში იყინება (აუცილებელია ამ საკითხის მოწესრიგება).

სკოლის დირექციამ ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. თუ დაზიანება მცირე მასშტაბისაა (მაგალითად, ონკანის დაზიანება), სკოლა თავად აგვარებს პრობლემას. ხოლო დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებენ და წლების განმავლობაში ფერხდება სკოლის სათანადო ფუნქციონირება.

პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა

სოფელ პატარა ჩაილურში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 161 მოსწავლე (50 გოგონა და 111 ვაჟი), რომელთაგან 1 გოგონა არის შშმ, ხოლო 2 - სსმ. პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 23-ს (2 მამაკაცი და 21 ქალი). სკოლაში არ ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი ან სხვა რაიმე საზოგადოებრივი გაერთიანება. ზოგადად, სკოლის შენობა მძიმე მდგომარეობაშია, სახურავიდან ჩამოდის წყალი, რის გამოც შენობის ინტერიერი და ინვენტარი მაღალი ტენიანობის გამო საკმაოდ დაზიანებულია.



სკოლის ეზოში მილით შეყვანილია წყალი, რომლის ონკანიც დაზიანებულია. დირექციის ინფორმაციით, ონკანი ზამთრის შემდეგ არის დაზიანებული, რის გამოც სკოლა წყლის გარეშე დარჩენილი. წყალი მოაქვს დამლაგებელს მეზობლად მცხოვრები მოსახლეობისაგან. მოსწავლეების (განსაკუთრებით, დაწყებითი კლასების) ნაწილს კი სახლებიდან ბოთლებით მოაქვს წყალი. ზოგადად, სოფელში არის წყლის მიწოდების პრობლემა, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია სოფლის გამგეობის დახმარებით. დირექციის ცნობით, 5,000 ლარი იყო საჭირო

წყლის საქაჩის გასაკეთებლად, რითაც საკმარისი წყალი მიეწოდებოდა სოფელს, თუმცა გამგეობამ ამ მიზნით თანხა არ გამოყო.

სკოლის ეზოში არის „ორმოს“ ტიპის 2 ტუალეტის ჯიხური. ერთი მათგანი ძველი და ამორტიზებულია, თუმცა მოსწავლეები მაინც სარგებლობენ ამ სანიტარიული კვანძით, რაც დაუშვებელია. დირექციის ცნობით, ახალი ტუალეტი საკმარისი არ არის მოსწავლეებისათვის. მას აქვს 3 ერთეული, რომელთაგან ერთი ადაპტირებულია შშმ პირებზე (თუმცა ამ ერთეულს არ იყენებენ). აღნიშნული ტუალეტი შეფასების მომენტში ნაწილობრივ სუფთა მდგომარეობაში იყო. ტუალეტებთან არ არის მოწყობილი ხელსაბანი. სკოლის შესასვლელთან კედელზე ჩამოკიდებულია წყლის მცირე ზომის რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება ხელის დასაბანად, თუმცა შეფასების დროს ავზის ონკანი დაზიანებული იყო და არ იღო საპონი.

დირექციის განცხადებით, სკოლაში უმთავრესად ბიოლოგიის მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ჰიგიენის საკითხებზე. დირექციამ წარმოადგინა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა, რომელიც სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ჩვენს ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე.

სკოლაში მყარი ნარჩენები (ნაგავი) გააქვთ სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე არალეგალურ ნაგავსაყრელზე. სანიტარიული ობიექტები სკოლის შიგნით შეფასების მომენტში გადავსებული არ იყო, თუმცა ნაგვის გატანა და უტილიზაცია უსაფრთხოდ არ ხდება.

სკოლის დირექციას მიაჩნია, რომ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები და სკოლა თანაბრად არიან პასუხისმგებლები სკოლაში წყლისა და სანიტარიის სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. თუმცა რეალობა აჩვენებს, რომ WaSH-ის მხრივ სკოლაში ბევრი პრობლემა მოსაწესრიგებელია და ამ მხრივ როგორც სკოლა, ასევე ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურები ეფექტიანები ნაკლებად არიან.

ამბულატორიები

ბადიაურის ამბულატორია

სოფელ ბადიაურში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ექიმები და ექთნები კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. ამბულატორია ემსახურება 3 სოფლის (ბადიაური, მზისგული, შიბლიანი) 2,700-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში 240-250 კაცს შეადგენს.

ამბულატორია აშენდა 2005-2006 წლებში ჰუმანიტარული ორგანიზაცია „მერლინის“ მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პირველადი ჯანდაცვის პროექტის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ დეკადაზე ოდნავ მეტია გასული, შენობა ამორტივებულ მდგომარეობაშია, სახურავი დაზიანებულია და წყალი ჩამოდის. მაღალი ნესტის გამო დაზიანებულია შენობის ინტერიერი და ინვენტარი, მწყობრიდან არის გამოსული სამედიცინო აპარატურა. მნიშვნელოვანი დაზიანებების გამო იყენებენ შენობის მხოლოდ ნაწილს. ამბულატორია შედგება 15 ოთახისაგან, საერთო ფართობია დაახლოებით 300 კვ.მ. ამბულატორიას წყვეტილად მიეწოდება ელექტროენერგია - ქარის დროს ხშირად ზიანდება გადამცემი ხაზი და უწევთ ელექტრიკოსის გამოძახება.



ამბულატორიის შენობას წყალი მიეწოდება სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. პერსონალის განცხადებით, წყლის ხარისხი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და არც საკმარისია ამბულატორიის საჭიროებებისათვის. ზამთარში დაბალი ტემპერატურის გამო იყინება და ამბულატორია, საერთოდ, წყლის გარეშე რჩება. კერძო პირების დახმარებით ამბულატორიას აქვს წყლის ავზი. თუმცა მონტაჟის შემდეგ ავზი არასოდეს გაწმენდილა და წყლის მნიშვნელოვანი დეფიციტის შემთხვევაში იყენებენ მხოლოდ ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელ წყალს კი ძირითადად ყიდულობენ ან მოაქვთ სახლიდან.

ამბულატორიაში არის ჩასარეცი ტუალეტები შენობის შიგნით, მაგრამ ტუალეტებს არ მიეწოდება წყალი და ამიტომ მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია. ტუალეტების ზოგი ერთეული, საერთოდ, სხვა დანიშნულებით (მაგ., ნაგავსაყრელად თუ საწყობად) გამოიყენება.



ხელსაზიანი არის ყველა ოთახში, თუმცა, ტულებების მსგავსად, ოთახების უმეტესობაში წყალი არ მოდის. ამის გამო ზოგ ოთახში ხელსაზიანი ავზებია მოწყობილი. საპონი იყო მხოლოდ ნაწილში. ამბულატორიაში არ ხდება დეზინფექცია და არც ქიმიურ საშუალებებს ყიდულობენ.

მყარი ნარჩენების გატანაც ორგანიზებულად არ ხდება. ამბულატორიასთან ახლოს არ დგას სანაგვე ურნები, მიუხედავად იმისა, რომ შენობა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მდებარეობს (სადაც არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ ბევრი ტურისტიც მოძრაობს და ბადიაურშიც ჩერდება). ნარჩენებს წვავენ ამბულატორიის ეზოში ამოთხრილ ორმოში. სამედიცინო ნარჩენებსაც ადრე ასევე წვავდნენ, თუმცა ამჟამად აგროვებენ სპეციალურ ყუთებში. აპირებენ, დადონ ხელშეკრულება კერძო ორგანიზაციასთან, რომელიც შემდეგ მოახდენს შეგროვებული სამედიცინო ნარჩენების (ძირითადად, შპრიცების) უტილიზაციას.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შენობა შედარებით ახალია, ამბულატორიაში წყლისა და სანიტარიის სისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია და არანაირ სტანდარტებს არ პასუხობს. ამავე დროს, არც სამედიცინო პერსონალს აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე.

ქვემო ყანდაურის ამბულატორია

სოფელ ქვემო ყანდაურაში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ექიმები და ექთნები კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. ამბულატორია ემსახურება 1,100-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში 100-150 კაცს შეადგენს.

ამბულატორია სოფლის გამგეობის შენობაშია განთავსებული და უკავია 3 ოთახი, რომელთა საერთო ფართობი 35 კვ.მ-ია. ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდებათ. შენობაში ამბულატორია განთავსდა 5 წლის წინ.

ამბულატორიის შენობაში შეყვანილია წყალი, თუმცა მიწოდება არასაკმარისია. წყალი მოდის დილის საათებში და შემდეგ წყდება. პრობლემები იქმნება წლის ცხელ პერიოდში. პერსონალის განცხადებით, წყლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. სასმელი წყლის

ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს წყაროს წყალი, რომელიც ამბულატორიიდან 50 მეტრში მდებარეობს.

ტუალეტი მდებარეობს შენობის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ხის ჯიხურს, რომელიც ამორტიზებულია და მისი გამოყენება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. შეფასების მომენტში ტუალეტი დაგვხვდა მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. ტუალეტს არ მიეწოდება წყალი და არ აქვს ხელსაბანები. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამბულატორიას ტუალეტი ფაქტობრივად არ გააჩნია. თუმცა შესაძლებელია ტუალეტის მოწყობა ამბულატორიის შენობაში - ამისათვის არის შესაბამისი ფართობი.



მყარი ნარჩენების გატანის მხრივ მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც მუნიციპალურმა სამსახურმა შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დადგა ურნა და დაიწყო ნაგვის რეგულარულად გატანა. სამედიცინო ნარჩენებს აგროვებენ სპეციალურ ყუთში და აპირებენ ხელშეკრულების დადებას კომპანიასთან, რომელიც მათ უტილიზაციას მოახდენს.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღინიშნება სანიტარიის მიმართულებით. არ გააჩნიათ აგრეთვე არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე.

ნინოწმინდის ამბულატორია

სოფელ ნინოწმინდაში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ექიმები და ექთნები კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. მთლიანობაში ამბულატორია ემსახურება 2 სოფლის (ნინოწმინდა, წყაროსთავი) 2,600-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში საშუალოდ 150 კაცს შეადგენს (უმეტესობა – ქალი და ბავშვი). ექიმები, საკუთარ

სტატისტიკაზე დაყრდნობით, აღნიშნავენ სოფელში დაავადებათა შემთხვევების (განსაკუთრებით, სიმსივნური დაავადებების) მკვეთრად მატებას, რასაც ნავთობის ჭაბურღილზე მომხდარ ავარიას უკავშირებენ. ავარიის შედეგად რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა სოფლის მოსახლეობის კარ-მიდამოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძლიერი დაზინძურება ნედლი ნავთობით. ამ საკითხს მედია და უფლებადამცველი ორგანიზაციებიც აქტიურად გამოეხმაურნენ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

<https://www.youtube.com/watch?reload=9&v=SLwAEMIZyHo>

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=5923&lang=Geo>

ამბულატორია სოფლის ყოფილი „კანტორის“ ნახევრად ამორტიზებულ შენობაშია განთავსებული, სადაც დიდი ბრძოლის ფასად შეძლეს ფართობის შენარჩუნება. ამბულატორია განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და უკავია 4 ოთახი, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 90 კვ.მ-ია. შენობას არასოდეს ჩასტარებია კაპიტალური რემონტი, მხოლოდ პერიოდულად ხდება ოთახების კოსმეტიკურად გარემონტება შესაძლებლობის ფარგლებში.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ამბულატორიას არანაირი ხელმისაწვდომობა არ აქვს სასმელ წყალზე. სამედიცინო პერსონალი წყალს თავად ეზიდება სახლიდან. არადა, ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე გადის წყლის მილი და მისი შემოყვანა მნიშვნელოვან დანახარჯებთან არ იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ამბულატორიას ამ მხრივ არანაირი მხარდაჭერა არა აქვს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

ტუალეტი მდებარეობს შენობის ეზოში. ის წარმოადგენს „ორმოს“ ტიპის ჯიხურს, რომელიც შედგება ორი ერთეულისაგან. ერთი ნაწილი განკუთვნილია სამედიცინო პერსონალისათვის და გარედან გასაღებით იკეტება. შესაბამისად, ამ ნაწილში გაცილებით უკეთესი სანიტარიული ვითარებაა, ვიდრე მეორეში, სადაც ანტისანიტარია სუფევს. თვით ამბულატორიის შენობაში მოწყობილია კუსტარული ხელსაბანი.



მყარი ნარჩენების გატანა რეგულარულად ხდება. ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე დგას დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნა, რომელიც შეფასების მომენტში გადავსებული არ იყო. სამედიცინო ნარჩენებს აგროვებენ სპეციალურ ყუთში და აპირებენ ხელშეკრულების დადებას კომპანიასთან, რომელიც მათ უტილიზაციას მოახდენს.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. მათი თქმით, საბოლოოდ ამის ვალდებულება მაინც პერსონალზე გადმოდის, ეუბნებიან: „ფიზიკური პირები ხართ და თქვენ მოაგვარეთ“, შესაბამისად, WaSH-თან დაკავშირებული პრობლემები წლების განმავლობაში გრძელდება და მოგვარება ვერ ხერხდება. პერსონალს არ გააჩნია არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად.

დიდი ჩაილურის ამბულატორია

სოფელ დიდ ჩაილურში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 1 ექიმი და 1 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ისინი კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. მთლიანობაში, ამბულატორია ემსახურება 1,200-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში მხოლოდ 40-50 კაცს შეადგენს (ზამთრის თვეების განმავლობაში პაციენტთა რაოდენობა მცირედით მატულობს).

ამბულატორია ძველ, ამორტიზებულ შენობაშია განთავსებული. კერძოდ, შენობის მეორე სართულზე უკავია 3 ოთახი, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 60 კვ.მ-ია. შენობა არის უმძიმეს მდგომარეობაში და დანგრევის საფრთხე საკმაოდ რეალურია. სოფელში არის მუდმივი წყალი, თუმცა ამბულატორიას არ მიეწოდება. არც ამბულატორიის შენობაში და არც მიმდებარე ტერიტორიაზე არანაირი ხელმისაწვდომობა არ არსებობს წყალზე. ექიმსა და ექთანს თავად უწევთ ბოთლებით წყლის მოტანა. ასეთ პირობებში შეუძლებელია სანიტარიული ნორმების დაცვა და, საერთოდ, დაუშვებელია ამბულატორიის შემდგომი ფუნქციონირება.



არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიას ტუალეტი ფაქტობრივად არ გააჩნია. არსებული კი ამორტიზებულია და შეუძლებელია მისი გამოყენება. სანიტარიული წესების კიდევ ერთი სერიოზული დარღვევა უკავშირდება ამბულატორიიდან მყარი ნარჩენების გატანას - დაგროვილ ნაგავს პარკებით პირდაპირ ყრიან ამორტიზებულ საპირფარეშოში.



პერსონალის განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართეს დახმარებისათვის სოფლის გამგეობას, მისგან დაპირებაც მიიღეს დახმარებაზე, თუმცა ამ დაპირებებს შედეგი არ მოჰყოლია. ამგვარად, დიდი ჩაილურის ამბულატორიაში წყლისა და სანიტარიის პრობლემების მოწესრიგებამდე ჯერ თავად შენობისა და სამედიცინო პერსონალის სათანადო პირობებში განთავსების საკითხია გადასაწყვეტი.

ხაშმის ამბულატორია

სოფელ ხაშმში მდებარე ამბულატორიაში მუშაობენ 2 ექიმი და 2 ექთანი ფიზიკური პირების სტატუსით. ექიმები და ექთნები კვირის ყველა სამუშაო დღეს ემსახურებიან სამიზნე მოსახლეობას. მთლიანობაში, ამბულატორია ემსახურება 1,200-მდე მოსახლეს, პაციენტთა საშუალო რიცხვი კი თვის განმავლობაში 80-90 კაცს შეადგენს.

ამბულატორია სოფლის ყოფილი კულტურის სახლის ძველ, ამორტიზებულ შენობაშია განთავსებული. კერძოდ, შენობის მესამე სართულზე უკავია 3 ოთახი, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 60 კვ.მ-ია. ამბულატორიის ერთ ოთახს პერსონალი იყენებს ზაფხულის პერიოდში (რადგან მეორე ოთახში ამ დროს ძალიან ცხელია), ხოლო მეორეს – ზამთრის განმავლობაში (მეორე ოთახში ამ დროს გაუსაძლისი სიცივეა). ამბულატორია არათუ შშმ პირებზე არ არის ადაპტირებული, არამედ სხვა პაციენტებსაც ძალიან უჭირთ ექიმამდე მიღწევა. **სწორედ ამის გამო ექიმები თავად ჩადიან პერიოდულად ქვემოთ და პირველ სართულზე განთავსებულ მაღაზიაში ღებულობენ პაციენტებს?!**



ამბულატორიის შენობაში შეყვანილია წყალი, თუმცა იშვიათად მიეწოდებათ. განსაკუთრებით პრობლემურია წყალზე ხელმისაწვდომობა ზამთრის განმავლობაში - შესაძლოა, მთელი თვის განმავლობაში წყალი არ წამოვიდეს. წყლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს და – ფაქტობრივად, სასმელად უვარგისია. ზოგადად, სოფელსაც სასმელად უვარგისი წყალი მიეწოდება, რაც დასტურდება ლაბორატორიული შემოწმებით. არ არსებობს სასმელი წყლის სხვა ალტერნატიული წყარო. ამგვარად, ამბულატორიას წყალზე ხელმისაწვდომობა, ფაქტობრივად, არ გააჩნია.

საერთო სარგებლობის ტუალეტი მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. შეფასების მომენტში ტუალეტი დაგვხვდა მძიმე ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. პერსონალის გადმოცემით, ტუალეტის კანალიზაციის სისტემა ხშირად იჭედება, არ მიეწოდება წყალი და არ აქვს ხელსაბანები. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამბულატორიას ტუალეტი არ აქვს. არ წარმოებს დეზინფექცია/დეზინსექცია და არც ქიმიური საშუალებები აქვთ.



მყარი ნარჩენების გატანა ხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ურნაში, რომელიც შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დგას. ნაგვის გატანა ხდება რეგულარულად. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. სამედიცინო ნარჩენებს

აგროვებენ სპეციალურ ყუთში, თუმცა შემდეგ მათ უტილიზაციას როგორ მოახდენენ, არ იციან.

ამბულატორიის სამედიცინო პერსონალმა ზუსტად არ იცის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი წყლისა და სანიტარიის სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. ფიქრობენ, რომ მათ სოფლის ხელმძღვანელობა (გამგეობა) უნდა დაეხმაროს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში. თუმცა რეალურად არავინ არასოდეს დახმარებიათ, რაზედაც არსებული მდგომარეობა კარგად მეტყველებს. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ამბულატორიაში არ გააჩნიათ არანაირი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა მოსახლეობისათვის ჰიგიენის საკითხებზე.

საბავშვო ბაღები

სოფელ კაკაბეთის N2 საბავშვო ბაღი

სოფელ კაკაბეთის N2 საბავშვო ბაღში ირიცხება 45 ბავშვი (24 გოგონა და 26 ვაჟი). ბაღს ემსახურება 4 აღმზრდელი. ბაღში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი. შეფასების დღეს ბაღში იყო მხოლოდ 12 ბავშვი. ზოგადად, ბაღის შენობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, სახურავიდან ჩამოდის წყალი, რის გამოც, ბაღი პერიოდულად წყვეტს მუშაობას.

ბაღის შენობაში წყალი შემოდის მილით, რომელიც კვირაში საშუალოდ 2 დღე მიეწოდებათ. ბაღს აქვს წყლის ავზი, სადაც ხდება წყლის შეკრება. ავზიდან მიღებულ წყალს იყენებენ სასმელად, ხელის დასაბანად, საჭმლის მოსამზადებლად და ტექნიკური მიზნებისათვის. თვეში ერთხელ ხდება წყლის ქიმიური დამუშავება (დაქლორვა). ზოგადად, სოფელში არის წყლის მიწოდების პრობლემა. ამიტომ ზოგჯერ ბაღის პერსონალსაც უწევს წყლის ჭურჭლით შემოტანა და ბავშვების ნაწილსაც სასმელი წყალი სახლიდან მოაქვს.

ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია „ორმოს“ ტიპის ჩასარეცხი ტუალეტის 2 ერთეული შენობის შიგნით. ორივე ერთეული იმყოფება სანიტარიული თვალსაზრისით კარგ მდგომარეობაში. ტუალეტებთან მოწყობილია ორი ხელსაბანი, სადაც არის საპონიც. საბავშვო ბაღს ჰყავს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს საპირფარეშოს სისუფთავეს. აქვთ საკმარისი თხევადი საპონი.

დირექციის განცხადებით, სათანადო ყურადღება ექცევა ბაღში ჰიგიენის სწავლებას. თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე ნაკლებად მიუწვდებიათ ხელი. სასურველი იქნებოდა მეტი მასალის მიწოდება და პედაგოგების მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

მყარი ნარჩენები გააქვთ და წვავენ ბაღის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ ორმოში. შედეგად, შეფასების მომენტში ეზოს ნაწილი იყო ანტისანიტარიულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ სოფელში კვირაში ერთხელ მოდის დასუფთავების სამსახურის

ავტომანქანა, თუმცა, რატომღაც, ბაღის ტერიტორიამდე ვერ აღწევს. აუცილებელია აღნიშნული პრაქტიკის დროულად გამოსწორება.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურები არიან პასუხისმგებლები ბაღში წყლისა და სანიტარიული სისტემების მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. ფიქრობენ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ მოგვარებულია, რადგან წყლის მიწოდების სისტემა, ზოგადად, სოფელში გაუმართავია, ამიტომ გაძნელებულია WaSH-ზე ბაღის საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება.

სოფელ პატარძელის N1 საბავშვო ბაღი

სოფელ პატარძელის N1 საბავშვო ბაღში ირიცხება 50 ბავშვი (24 გოგონა და 26 ვაჟი). ბაღს ემსახურება 2 აღმზრდელი. ბაღში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, რომელიც აქტიურია და ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.

ბაღის ეზოში დაახლოებით 2 წელია, სოფლის ჭაბურღილიდან მილსადენით შემოდის წყალი. შემდეგ ტუმბოს საშუალებით აგროვებენ წყლის ავზში, საიდანაც მიეწოდება ბაღის სამზარეულოს. ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით ბაღი მუდმივად მარაგდება და, შესაბამისად, წყლის მიწოდების პრობლემაც არ არის. მიჩნეულია, რომ წყალი უსაფრთხოა, ამიტომ იყენებენ როგორც სასმელად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად. აქვთ წყლის მიწოდების ალტერნატიული წყაროც (სოფლის სხვა ჭაბურღილიდან).

ბაღში ფუნქციონირებს ტუალეტები როგორც ბავშვებისათვის, ისე პედაგოგებისათვის (შენობის გარეთ), სულ 3 ერთეული - გოგონების, ვაჟებისა და ბაღის თანამშრომლებისათვის. ტუალეტის არცერთ ერთეულს წყალი არ მიეწოდება. შენობაში განთავსებული ტუალეტი მოწესრიგებული და სუფთა მდგომარეობაშია. აქვთ წყლის ჭურჭელი, რომელსაც იყენებენ წყლის შესანახად და საპირფარეშოების დასასუფთავებლად. ასევე ჭურჭელს იყენებენ ბავშვებისათვის ხელის დასაბანად. გამდინარე წყლის არქონის გამო პერსონალს ძალიან უჭირს ყოველდღე 50 ბავშვისათვის ხელის დაბანა და საპირფარეშოს სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება. მართალია, ადრე ჩატარებული რემონტის დროს გაყვანილ იქნა მილები, თუმცა ისინი არასწორად იყო დამონტაჟებული და მათში წყალს არასოდეს გაუვლია.

დირექციის განცხადებით, სათანადო ყურადღება ექცევა ბაღში ჰიგიენის შესწავლას. თუმცა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. ზოგჯერ თავად პერსონალი ცდილობს შესაბამისი მასალების მომზადებას, თუმცა შეფასების მომენტში ეს მასალა ვერ წარმოადგინეს. სასურველი იქნებოდა, მეტი მასალის მიწოდება და პედაგოგების მომზადება ჰიგიენის საკითხებში.

ბაღის ტერიტორიასთან ახლოს არის სანაგვე ურნა. შესაბამისად, მყარი ნარჩენები რეგულარულად გააქვს დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურს. შეფასების მომენტში სანიტარიული ობიექტები გადავსებული არ იყო. ბაღში ფუნქციონირებს აგრეთვე სადრენაჟო სისტემა და არ ხდება ნახმარი წყლების დაგუბება.

ბაღის პერსონალს მიაჩნია, რომ თავად ბაღი არის პასუხისმგებელი წყლის სისტემის მოწესრიგებასა და დაზიანებების დროულ აღმოფხვრაზე. ფიქრობენ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა თითქმის მოწესრიგებულია. რაც შეეხება სანიტარიულ სისტემას, ამ მხრივ ისინი საჭიროებენ ბაღების გაერთიანებების დახმარებას, რადგან საკუთარი სახსრებით არ ძალუძთ პრობლემების მოგვარება.

დმანისის მუნიციპალიტეტი

დმანისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოხდა შემდეგი ობიექტების შერჩევა:

სკოლები: ძირითადად განხორციელდა იმ სკოლების შეფასება, რომელთაც წყალი ეზოში არ აქვთ. სულ განხორციელდა ამ კრიტერიუმში მოხვედრილი 5 სოფლის საჯარო სკოლების შეფასება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რჩევით მათ დაემატათ კიდევ 2 საჯარო სკოლა (სოფელ განთიადისა და დმანისის N1 სკოლები).

ამბულატორიების შემთხვევაში ვიზიტი განხორციელდა დმანისის რაიონში მოქმედ თითქმის ყველა ამბულატორიაში.

რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, **საბავშვო ბაღების** ზოგადი სანიტარიული მდგომარეობა პოზიტიურად იყო მიჩნეული, ვიზიტები განხორციელდა მხოლოდ იმ ბაღებში, რომელთაც აქვთ ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემა.

შეფასებულ იქნა აგრეთვე ქ. დმანისში განთავსებული ეკომიგრანტთა კოლექტიური საცხოვრებელი.

სკოლები

განთიადის საჯარო სკოლა

სოფელ განთიადში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 109 მოსწავლე (36 გოგონა და 73 ვაჟი), რომელთაგან არცერთი არ არის სსმ ან შშმ. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს 21-ს (2 მამაკაცი და 19 ქალი). დირექციის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ვერ წარმოადგინეს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი რაიმე მასალა. ზოგადად, სკოლის შენობაში მაღალია ტენიანობა, რის გამოც კედლები (განსაკუთრებით, პირველ სართულზე) საკმაოდ დაზიანებულია. ასევე, მრავალი შეფასებული სკოლის მსგავსად, მაღალია შენობის შიგნით ჰაერში მტვრის კონცენტრაცია. სკოლაში იგეგმება ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა.

სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, თუმცა წყალსადენი მილი შენობის შიგნით არ არის შეყვანილი. ამგვარად, სასმელი წყალი მხოლოდ სკოლის ეზოში არის